# პრივატიზების მაცნე

№ 17
აგვისტო, 1996 წელი

PRIVATIZATION HERALD

საინფორმაციო-სარეკლამო გაზეთი | გამოდის 1993 წლიდან | ფასი 50 თეთრი

# საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 4 ივლისი

ქ. თბილისი

## ელექტროენერგეტიკული სექტორის რესტრუქტურიზაციის შესახებ

საქართველოს 1996 წლის 26 ივნისის კანონით შეიქმნა საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო, რომელიც განსაზღვრავს და ყარმართავს ქვეყანაში ენერგეტიკულ პოლიტიკას, დარგის განვითარების სტრატეგიასა და პრიორიტეტებს, საინვესტიციო პოლიტიკასა და ეკონომიკის დარგებში ენერგოეფექტიანობის ამაღლების სტრატეგიას, უზრუნველყოფს დარგში რეფორმის რაციონალურ წარმართვას, ამუშავებს და ახორციელებს ტარიფო პოლიტიკას, ავითარებს დარგის საკანონმდებლო და ნორმატიულ ბაზას, ახორციელებს დარგის ტექნიკური და ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგს, გეგმავს და კოორდინაციას უწევს ტექნიკურ დახმარებას, განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკას საგანგებო ენერგეტიკულ სიტუაციებში.

ენერგეტიკის განსაკუთრებული ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობის გათვალისწინებით, დარგში რაციონალური სახელმწიფო პოლიტიკის გატარების, დარგის რეგულირების ფუნქციისა და კომერციული საქმიანობის გამიჯვნის, დემონოპოლიზაციის, კერძო მესაკუთრეობისა და საბაზრო ურთიერთობათა განვითარების მიზნით, ქართველი და უცხოელი ექსპერტების რეკომენდაციათა, ელექტროენერგეტიკული სექტორის რესტრუქტურიზაციის კომიტეტისა და საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საკონსულტაციო ეკონომიკური საბჭოს გადაწყვეტილებათა შესაბამისად:

1. ენერგეტიკული კრიზისის დაძლევისა და დარგის განვითარების ხელშემწყობი პირობების შესაქმნელად სათბობ-ენერგეტიკა მიჩნეულ იქნეს პრიორიტეტულ დარგად.

2. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან შეიქმნას მარეგულირებელი სამსახური — ელექტროენერგეტიკული მარეგულირებელი კომისია.

მარეგულირებელ კომისიას საწყის ეტაპზე დაევალოს ელექტროენერგეტიკის საბითუმო და საცალო ტარიფების რეგულირება.

3. საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსთან შეთანხმებით 1996 წლის 15 ივლისისათვის წარმოადგინონ მარეგულირებელი კომისიის წევრთა კანდიდატურები.

4. საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ შეიმუშაონ და 1996 წლის 1 ოქტომბრამდე დაამტკიცონ ელექტროენერგიის საბითუმო და საცალო ტარიფების დადგენის მეთოდოლოგია და წესები.

5. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ შექმნან სპეციალური სამუშაო ჯგუფი და წარმართონ სისტემატური მუშაობა ენერგეტიკის სფეროს საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის ჩამოყალიბებისათვის და პირველ რიგში უზრუნველყონ "ენერგეტიკის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის 1996 წლის 1 ნოემბრამდე საქართველოს პარლამენტში წარსადგენად.

6. რესტრუქტურიზაციის პირველ ეტაპზე განხორციელდეს დეპარტამენტ "საქენერგოს" რეორგანიზაცია, რისთვისაც მის ბაზაზე ჩამოყალიბდეს ფუნქციურად დამოუკიდებელი 3 ქვესექტორი — გენერაციის, გადაცემა-დისპეტჩერიზაციის და განაწილებისა.

7. "საქენერგოს" გენერაციის ქვესექტორში შემავალი საწარმოები (ცალკეული ელექტროსადგურები ან მათი ჯგუფები, სარემონტო ან მომსახურების სფეროს სხვა საწარმოები ან მათი ჯგუფები) გარდაიქმნან სააქციო საზოგადოებებად, რომელთა აქციები მათ განლაგებაზე გადაწყვეტილების მიღებამდე მთლიანად სახელმწიფო საკუთრებაში დარჩება. აქციების სახელმწიფო წილის მართვის უზრუნველყოფისათვის საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში შექმნას შესაბამისი სამსახური.

8. "საქენერგოს" გადაცემის დისპეტჩერიზაციის სტრუქტურა გარდაიქმნას ერთიან, კომერციალიზებულ, ფინანსურად ავტონომიურ სახაზინო საწარმოდ "საქენერგო", რომელიც დაექვემდებარება საქართველოს სათბობ ენ-

(დასასრული მე-2 გვ.)

## სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში

### ქონების რეალური ფასის განსაზღვრისათვის

სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 1996 წლის 10 ივლისის ბრძანებით სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1995 წლის 6 ნოემბრის (№ 52.12.1086.) კოლეგიის გადაწყვეტილება გავრცელდა ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებაში განთავსებულ ყველა ტიპის სახელმწიფო საწარმოზე და ორგანიზაციაზე პრივატიზების ფორმის მიუხედავად.

სამინისტროს კანცელარიამ სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებს დაუგზავნა აღნიშნული ბრძანება, რომელიც ძალაში შევიდა ხელმოწერის დღიდან.

იურიდიული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველომ ბრძანება რეგისტრაციაში უნდა გაატაროს იუსტიციის სამინისტროში.

შეგახსენებთ სამინისტროს კოლეგიის 1995 წლის 6 ნოემბრის (№ 52. 12. 1086) ბრძანების შინაარსს: "საპრივატიზაციო საწარმოების (ობიექტების) ღირებულების შეფასების დროებითი მითითებანი" ობიექტების გასაყიდი ფასის განსაზღვრის დროს საპრივატიზებო კომისიებისათვის ერთადერთ სახელმძღვანელო დოკუმენტს წარმოადგენს. დღეს, საბაზრო ფასების ფართოდ დამკვიდრების შემდეგ, იგი სრულად ვერ უზრუნველყოფს პურ-პროდუქტების

(დასასრული მე-2 გვ.)



# ლიგა დაიცავს მესაკუთრეს

## ჩატარდა დამფუძნებელი ყრილობა

დემოკრატიზაციის პროცესებს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას თანმხლები მოვლენები სდევს. ახლა, როცა უკვე დამთავრდა სახელმწიფო ქონების პრივატიზების პირველი ეტაპი, ობიექტურად უკვე არსებობს მესაკუთრეთა ფენა. ბუნებრივია, დიფერენცირებული სახით — ვინ დიდი და ვინ მცირე მესაკუთრე. ცხოვრებამ ისიც გვაჩვენა, რომ მწარმოებელსა და სახელმწიფოს, მწარმოებელსა და მომხმარებელს, აგრეთვე თვით მწარმოებლებს შორისაც კი გარკვეული წინააღმდეგობები არსებობს.

დღის წესრიგში დადგა ისეთი ორგანიზაციის შექმნის საკითხი, რომელიც ამ პრობლემის მოგვარებას ითავებდა.

სწორედ ამ მიზნით შეიქმნა "საქართველოს ეკონომიკური თავისუფლებისა და კერძო საკუთრების დაცვის ლიგა", რომლის დამფუძნებელი ყრილობაც 12 ივლისს გაიმართა.

ყრილობა გახსნა საინიციატივო ჯგუფის თავმჯდომარემ რომან გოცირიძემ. მან მოკლედ მიმოიხილა საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა, კერძო საწარმოთა განვითარების დონე და ლიგის შექმნის აუცილებლობა.

ყრილობის დღის წესრიგში იყო ლიგის წესდების განხილვა, ლიგის მმართველი ორგანოების არჩევა, სხვადასხვა ინფორმაციათა მოსმენა.

ლიგა მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს ეროვნული მეურნეობის აღდგენასა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ეკონომიკური განვითარების კონცეფციების და პროგრამების შემუშავებას, როგორც მთელი ეკონომიკის, ასევე ცალკეული დარგებისა და საწარმოებისათვის, ქვეყანაში კერძო საკუთრების განმტკიცებისა და დაცვისათვის ხელშეწყობას, კერძო მეწარმეობის აღმოცენებას, ცალკეული მეწარმის მოქალაქეობრივი, ეკონომიკური, სოციალური და სხვა უფლება-თავისუფლებათა დაცვას. ლიგა პროპაგანდას გაუწევს ქართულ ბიზნესს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. დაიცავს პრივატიზებულ საწარმოთა აქციონერების (მეპაიეების) უფლებებს, გაუწევს მათ საკონსულტაციო დახმარებას ეკონომიკური და იურიდიული საკითხების მოგვარებაში, მხარს დაუჭერს ისეთ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ქვეყანაში ეკონომიკური ცოდნის გავრცელება, იზრუნებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე, დაამყარებს კავშირებს საზღვარგარეთის ქვეყნების სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ლიგის მიზანია, აგრეთვე, წარადგინოს და დაიცვას ლიგის წევრების უფლებები მთავრობაში და ხელისუფლების სხვა ორგანოებში, ხელი შეუწყოს დამოუკიდებელ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების (პრესა, რადიო, ტელევიზია და სხვა) განვითარებას, გამოსცეს ეკონომიკური ხასიათის წიგნები, ჟურნალები, გაზეთები, მოაწყოს სემინარები, კონფერენციები, კონგრესები, სიმპოზიუმები, დისკუსიები, გამოფენები, ფესტივალები; დააწესოს პრემიები ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და კერძო ინსტიტუტების განმტკიცებისათვის. ამასთანავე უფლება აქვს განახორციელოს სხვა მრავალი ისეთი საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და ხელს შეუწყობს ლიგის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.

ლიგაში ფართო წარმომადგენლობაა გათვალისწინებული. მისი წევრები შეიძლება გახდნენ როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები (მიუხედავად სქესის, ასაკის, ეროვნების, სარწმუნოების, პოლიტიკური ორიენტაციის), საწარმოები, დაწესებულებები, სხვა იურიდიული პირები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ლიგის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას, რეგულარულად გადაიხდიან საწევრო გადასახადს, შეასრულებენ წესდებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ყრილობამ რომან გოცირიძის წარდგენით, კენჭისყრის საფუძველზე, აირჩია სამღვინო ნოდარ გორდეზიანის, ელგუჯა ექსეულიძისა და ოთარ ტყემალაძის შემადგენლობით. რის შემდეგაც განხილულ იქნა წესდება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სააქციო საზოგადოებების, ფირმების, კოოპერატივების, ასოციაციების და სხვა მცირე თუ დიდი საწარმოების წარმომადგენლებმა, მეცნიერებმა: ვახტანგ ხმალაძემ, ბესარიონ ჯუღელმა, ომარ შემელიძემ, მიხეილ ჯიბუტმა, გივი თალაკვაძემ და სხვებმა, რომლებმაც შენიშვნები გამოთქვეს წესდების საკითხთა გამო და საქმიანი წინადადებებიც წარმოადგინეს.

დადგინდა ლიგის ხელმძღვანელი ორგანოები. მმართველ ორგანოებად დამტკიცდა ლიგის ყრილობა, სათაოსნო (განისაზღვრა 60 კაცის შემადგენლობით) მმართველი საბჭო, დირექტორთა საბჭო, სარევიზიო კომისია.

ბელა ქობალია.

# ნომერში:

**პრეტენზიები სამართლიანია** — ამბობს დეპარტამენტის თავმჯდომარე გვ. 2

**დისტრიბუტორული სისტემა ამუშავდა** გვ. 2

**„ქართველებმაც უნდა ვისწავლოთ უცხოელ ინვესტორებთან ურთიერთობა“** გვ. 3

**ელექტროენერგიის ფასი მოიმატებს?** გვ. 3

**რედაქციაში წერილი მოვიდა** გვ. 4

# ნომერში:

**„ალექსანდრე ლებედი სულ არ ჰგავს იოსებ ბესარიონის ძე სტალინს“** გვ. 4

**მაღაზიაში ყველაფერი იაფად** გვ. 5

**რა იქნა „ქართული ქალი“?** გვ. 5

**კონვერტირებადი ობლიგაციები და პრივატიზაცია** გვ. 6

**გუშინ ხელჩაკიდებული კაცი, დღეს წარმატებული კომერსანტი** გვ. 7

**ოლიმპიური მოძრაობა და ტერორი** გვ. 8

# ნომერში:

# ელექტროენერგეტიკული სექტორის რესტრუქტურიზაციის შესახებ

(დასასრული)

ერგეტიკულ სამინისტროს და განსახილველ ეტაპზე პრივატიზაციას არ დაექვემდებარება.

9. განაწილების სტრუქტურები მთლიანად გამოეყოს "საქენერგოს", დაცალკევდეს ტერიტორიული პრინციპით და გარდაიქმნას სააქციო საზოგადოებებად, რომელთა აქციები მათ განლაგებაზე გადაწყვეტილების მიღებამდე რჩება სახელმწიფო საკუთრებაში და მართვისათვის გადაეცემა მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს დადგენილი წესის შესაბამისად. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსთან და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად ერთ თვეში შეიმუშაოს ამ ობიექტების პრივატიზაციის გეგმა.

10. "საქენერგოს" გენერაციისა და განაწილების ქვესექტორების საწარმოთა სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნისათვის დეპარტამენტმა "საქენერგომ" მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან და საწარმოთა კოლექტივებთან ერთად საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსთან შეთანხმებით მოამზადოს "მეწარმეთა შესახებ" და "სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ" საქართველოს კანონებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია და 1996 წლის 1 აგვისტომდე წარუდგინოს იგი სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს, აგრეთვე შეიმუშაოს კორპორატიზაციის საერთო გეგმა და 1996 წლის 31 აგვისტომდე წარუდგინოს იგი სახელმწიფო კანცელარიას.

11. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ 1996 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყოს ზემოხსენებულ საწარმოთა სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნა "მეწარმეთა შესახებ" და "სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ" საქართველოს კანონების მოთხოვნათა შესაბამისად.

12. საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან და საწარმოთა კოლექტივებთან ერთად შეიმუშაოს გამოცალკევებულ საწარმოთა და გამანაწილებელ კომპანიათა სააღრიცხვო, საფინანსო და სამენეჯერო საქმიანობის გარდაქმნის გეგმა შესაბამისი ხარჯთაღრიცხვებისა და სხვა მოთხოვნათა გათვალისწინებით, რომელთა განხორციელებაც უნდა დაიწყოს 1996 წლის 31 ოქტომბრამდე.

13. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ, დეპარტამენტ "საქენერგომ" მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად 1996 წლის 31 აგვისტოსათვის შეიმუშაონ ჩამოყალიბებულ საწარმოთა ანგარიშების გამიჯვნისა და ქონებისა და ვალდებულებათა ინვენტარიზაციის გეგმა "საქენერგოსაგან" გამოყოფილი სტრუქტურების გრძელვადიანი დავალიანების გათვალისწინებით. გეგმა უნდა მოიცავდეს აგრეთვე დავალიანებათა რესტრუქტურიზაციისა და ვალების გასტუმრების გრძელ და მოკლევადიან სქემებს სატარიფო სტრუქტურასთან მათი კავშირის გათვალისწინებით. გეგმა უნდა ეყრდნობოდეს მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდევინების უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულებით დასახულ ღონისძიებათა რეალიზაციის შედეგებს.

14. საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან ერთად სახელმწიფო კანცელარიის შესაბამისი სტრუქტურების მონაწილეობით შეიმუშაოს და 1996 წლის 30 ნოემბრამდე წარმოადგინოს ელექტროენერგეტიკის პრივატიზაციის გეგმა. ეს გეგმა უნდა ითვალისწინებდეს პრივატიზაციის საერთო სახელმწიფო პროცესის მთავარ მიმართულებებს, მათ შორის ენერგეტიკაში საინვესტიციო გარემოს განვითარების არსებით მნიშვნელობასა და საპრივატიზაციო შემოსავლების, უწინარეს ყოვლისა ენერგეტიკის ობიექტების მოდერნიზაციასა და განვითარებაში ინვესტირების მიზანშეწონილობას. პრივატიზაციის გეგმის შედგენისას განხილულ უნდა იქნეს დარგის პერსონალისათვის აქციათა ნაწილის უფასოდ და შეღავათიანი პირობებით გადაცემის საკითხი.

15. სათბობ-ენერგეტიკის დარგში რეფორმების მიმდინარეობა, შესაბამისი გარდაქმნების მნიშვნელობა და მოსალოდნელი შედეგები ფართოდ გაშუქდეს ტელევიზიისა და პრესის საშუალებით.

ე. შევარდნაძე.

# ქონების რეალური ფასის განსაზღვრისათვის

(დასასრული)

მრეწველობის სისტემის ხელში არსებული ქონების პასიური ნაწილის (არასაცხოვრებელი საწარმო ფართის) რეალური ღირებულების განსაზღვრას, რის გამოც ზოგჯერ ფასები თავისუფალ საბაზრო ფასებზე მნიშვნელოვნად იაფი გამოდის.

ამიტომ, "პურ-პროდუქტების მრეწველობის სისტემის ობიექტების პირდაპირი გაყიდვის წესით პრივატიზების დროს სახელმწიფო ქონების პასიური ნაწილის აფასებისას საჭიროების შემთხვევაში გამოყენებულ იქნას მარეგულირებელი კოეფიციენტი, რომელიც უზრუნველყოფს საპრივატიზაციო ობიექტების მიერ დაკავებული არასაცხოვრებელი, საწარმოო ფართის 1 მ2-ს გასაყიდ ფასს, არანაკლებ:

ა. 30 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხისა ეროვნულ ვალუტაში — ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებებში განთავსებული ობიექტებისათვის.

ბ. 20 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხისა ეროვნულ ვალუტაში — დანარჩენ დასახლებულ პუნქტებში განთავსებული ობიექტებისათვის.

ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში მიზანშეწონილად ჩაითვალოს უფრო მაღალი კოეფიციენტების გამოყენება საპრივატიზაციო ობიექტების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით.

# სახელმწიფო ქონების პრივატიზება და... 6 თვე

## 4,2 მილიონი ვაუჩერი

სახელმწიფო ქონების პრივატიზების ერთი ეტაპი უკვე დამთავრდა. საქართველოს მოსახლეობას დაურიგდა 4,2 მილიონი ვაუჩერი. მათი უმრავლესობა დასაქონლებულია ანუ ვაუჩერის მფლობელებმა მიიღეს აქციები. ვინც მაინცდამაინც ბოლო დღეს მიიღო გადაწყვეტილება, თუ რომელ საწარმოში დაებანდებინა, ის ჯერ კიდევ ელოდება და უახლოეს დღეებში კუთვნილ აქციებს მიიღებს. დადგება დივიდენდების მიღების დროც. მთავარია საწარმო მუშაობდეს, პროდუქცია იყოს და მათი კონკურენტუნარიანობა ამაღლდეს.

## სააქციონერო საზოგადოება — მაინც რამდენი?

1996 წლის 6 თვეში დაფუძნებულია 124 სააქციო საზოგადოება. ყველაზე მეტი საზოგადოება შეიქმნა თბილისში – 27. ზუგდიდში დაფუძნდა 15, ოზურგეთში — 6. გორსა და სიღნაღში 4-4. ჭიათურაში, გურჯაანში, სენაკში, საჩხერეში — 3-3. ქუთაისში, ტყიბულში, ბოლნისში, დედოფლისწყაროში, მარნეულში, საგარეჯოში, სამტრედიაში, წყალტუბოში, თერჯოლაში — 2-2. თითოთითო საზოგადოებები დაფუძნდა აბაშაში, ამბროლაურში, ახალქალაქში, დუშეთში, კასპში, ლაგოდეხში, მარტვილში, საჩხერეში, ჩხოროწყუში, წალენჯიხაში, ხარაგაულში.

ნაესი გატყდა და აქციონირების პროცესი აქტიურად დაიწყო აჭარის რეგიონში. აქ 6 თვეში დაფუძნდა 26 სააქციო საზოგადოება.

დარგების მიხედვით პურპროდუქტების სისტემაში შექმნილია 28, მრეწველობის სამინისტროს — 26 საზოგადოება, სოფლის მეურნეობასა და სურსათის — 24, საქგაზის — 15, მშენებლობის — 13, სოციალური სფეროს — 8, სატრანსპორტო — 5, საქნავთობპროდუქტების სისტემის 4 სააქციონერო საზოგადოება.

## პრივატიზებული არ არის არც ერთი ობიექტი

1996 წლის 6 თვეში პრივატიზებულია 451 ე.წ. "მცირე" ობიექტი, რომლებიც თავის დროზე სხვადასხვა სისტემას ექვემდებარებოდნენ.

ყველაზე გულუხვი აღმოჩნდა საყოფაცხოვრებო მომსახურება — 293 ობიექტი, ვაჭრობის სისტემამ კიდევ "გაიმეტა" 34, ჯანდაცვამ — 94, პურპროდუქტებმა — 10, მშენებლობამ — 7 და ა.შ.

თბილისში პრივატიზებულია 112 ობიექტი, სენაკში — 40, წყალტუბოში, ახალციხეში, ოზურგეთში — 15-15, რუსთავში — 31, გორში — 28, ბორჯომში — 17.

ძნელად იმეტებენ ობიექტებს ან მსურველნი არ ჩანან ქუთაისში, ამბროლაურში, ახალგორში, ბოლნისში, თერჯოლაში, ლანჩხუთში, მესტიაში, მცხეთაში, ნინოწმინდაში, ყაზბეგში, ყვარელში, ჩოხატაურში, ჩხოროწყუში, წალენჯიხაში, წალკაში, ხობში. აქ არც ერთი ობიექტი არ არის პრივატიზებული.

## ვინ რამდენი?

პრივატიზების პერიოდში მსხვილი პაკეტის მფლობელი გახდა 62087 ფიზიკური და იურიდიული პირი. ისინი უკვე ფლობენ 41675910 აქციას, რომელთა ღირებულება 58215643 ამერიკის შეერთებული შტატების დოლარის ტოლფასია. 197467 პირს უფასოდ მიეცა 10563447 დოლარის ღირებულების 7523756 აქცია.

გარდა ამისა, აქციები იყიდებოდა სპეციალიზირებულ საპარათო აუქციონებზე. აქ შეძენილია 90341999 დოლარის ნომინალური ღირებულების 64724259 აქცია.

## პრივატიზებიდან გადაირიცხა...

1996 წლის 6 თვეში პრივატიზებიდან შემოსულია 8.7 მილიონი ლარი. როგორ განაწილდა ეს თანხა? რესპუბლიკის ბიუჯეტში გადარიცხულია 533.2 ათასი ლარი, სახაზინო დეპარტამენტში — 2.78 მილიონი ლარი, საგადასახადო ინსპექციაში — 984 ათასი ლარი, სამედიცინო ფონდში — 232.8 ათასი ლარი. ტელერადიოკორპორაციის ანგარიშზე გადარიცხულია 10.5 ათასი ლარი. პურ-პროდუქტების კორპორაციას გადაერიცხა 6.1 ათასი ლარი, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ანგარიშზეა 312.14 ათასი ლარი და ა.შ.

როგორი იქნება შემდეგი 6 თვე?

ვახტანგ კვიციანი დაიბადა 1957 წელს. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. მუშაობდა საქართველოს სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის ერთიანი სახელმწიფო ფონდის თავმჯდომარედ. 1996 წლიდან არის ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარე. ყავს მეუღლე და ქალიშვილი.

# „პრეტენზიები სამართლიანია"

**„ჩემი ნება რომ იყოს შევცვლიდი საგადასახადო სისტემის ნორმატიულ ბაზას" — უპასუხებს ჩვენი კორესპონდენტის შეკითხვებს თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარე ვახტანგ კვიციანი**

**"პრივატიზების მაცნე": ბატონო ვახტანგ! დეპარტამენტში მუშაობის დაწყებისას რამ, რომელმა პრობლემამ მიიქცია თქვენი ყურადღება. მთლიანობაში როგორ აფასებთ სამმართველოს საქმიანობას?**

ვახტანგ კვიციანი: პროცედურულად საკითხების გადაწყვეტის სირთულემ, სტრუქტურის დახვეწამ, საკადრო საკითხებმა, ახალი ნორმატიული დოკუმენტების მომზადების აუცილებლობამ.

**"პ.მ.": რითი დაიწყეთ სამმართველოში თქვენი მოღვაწეობა, რა პრობლემები წამოსწიეთ წინა პლანზე?**

ვ.კ.: ახალი სტრუქტურის შექმნით და საკადრო საკითხებით, თანამშრომელთა სამუშაო პირობების გაუმჯობესებით, კომპიუტერული ქსელის შექმნით. ჩემს მოსვლამდე განხორციელებული პრივატიზებული ობიექტების ანალიზით.

**"პ.მ.": როგორ აფასებთ ვითარებას იმის გათვალისწინებით, რომ თბილისში პრივატიზებული ობიექტების დიდი ნაწილი უმოქმედოდ დგას. რა მიზეზებს დაასახელებდით?**

ვ.კ.: უარყოფითად, ძირითადი ხელშემშლელი მიზეზები — რთული საგადასახადო სისტემა, მაღალი საბაჟო გადასახადები, ობიექტის ხელმძღვანელთა მოუქნელობა, ინვესტიციების მოზიდვის აუცილებლობა.

**"პ.მ": რა მექანიზმი შეგიძლიათ გამოიყენოთ უმოქმედო ობიექტების ასამუშავებლად?**

ვ.კ.: კანონი გაკოტრების შესახებ დაარეგულირებს უმოქმედოდ მდგარი ობიექტების შემდგომ ბედს.

**"პ.მ.": შექმნილია აზრი, რომ დედაქალაქში ადგილი აქვს ობიექტების მეორად გაყიდვას (მესაკუთრემ ახალშეძენილი ობიექტი უკვე გაყიდა, თუმცა პირობის თანახმად მას უფლება ჯერ არ ჰქონდა). გაქვთ თუ არა მონაცემები, რა არის მიზეზი და როგორ რეაგირებთ მასზე?**

ვ.კ.: მართლაც დედაქალაქში ადგილი აქვს ობიექტების მეორად გაყიდვას, რაც წარმოადგენს მყიდველის პრეროგატივას. რაც შეეხება იმ ობიექტებს, რომელსაც საკონკურსო პირობებით ეკრძალება გასხვისება, თითოეული ასეთი შემთხვევა ხდება მსჯელობის საგანი.

**"პ.მ.": მეწარმეები ხშირად უჩივიან მაღალ გადასახადებს, საგადასახადო სამსახურებს მემხვედრი პრეტენზიები აქვთ (შემოსავლის დამალვა და სხვა) როგორია თქვენი პოზიცია და პირადად თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული, როგორ მოაგვარებდით ამ პრობლემას?**

ვ.კ.: პრეტენზიები სამართლიანია. შევცვლიდი საგადასახადო სისტემის ნორმატიულ ბაზას.

(დასასრული მე-3 გვ.)

# დისტრიბუტორული სისტემა ამუშავდა და იმედს იძლევა



თბილისის რამდენიმე რაიონში ჩამოყალიბდა დისტრიბუტორული სისტემა, რომელიც მოსახლეობისგან დახარჯული ელექტროენერგიის საფასურს იღებს.

ქალაქის ვიცე-მერმა ზურაბ ბიბილეიშვილმა კორესპონდენტს უთხრა, რომ სისტემა ახლა იწყებს საქმიანობას, მისი ეფექტიანობის დადგენას დრო დასჭირდება. პირველი შედეგები კი დამაიმედებელია. რაც მთავარია, არსებობს კანონიერების დაცვის მექანიზმიც, რომელიც თანდათან უფრო დაიხვეწება.

# აბონენტის სიჯიუტეს უდანაშაულო ავადმყოფი ეწირება

"საქენერგოს" განცხადებით მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობის გამო სისტემიდან მთლიანად გამორთულია რამდენიმე რაიონი. ჯიუტი თუ ქესატი აბონენტის უპასუხისმგებლობის გამო გაურკვეველი რჩება სასწრაფო ოპერაციები, მრავალ ავადმყოფს ვერ უტარდება ოპერატიული სამედიცინო დახმარება. შეიძლება ამ მიზნით აბონენტთა რაოდენობაც შემცირდეს.

# მინისტრები მოითხოვენ პუბლიკაციების პრესცენტრში შემოწმებას

მთავრობის სხდომაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა კახა თარგამაძემ აღნიშნა, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს ქვეყნის ინტერესებს. ამ მოსაზრებას მხარი დაუჭირა უშიშროების მინისტრმა შოთა კვირაიამ.

ძალოვანი სამინისტროების ორმა ხელმძღვანელმა მოითხოვა, რომ ჟურნალისტებმა ყველა ინფორმაცია გადაამოწმონ ამ სამინისტროების პრესცენტრებში. ან. იმაზე არაფერი თქმულა, თუ რამდენად შესაძლებელია ეს და რამდენი პუბლიკაცია ვერ მიაღწევს მკითხველამდე.

# სპეცსამსახურები თურმე შეთანხმებულად მუშაობენ



რუსეთის საზოგადოებრივი ტელევიზიის განცხადებით რუსეთისა და საქართველოს სპეცსამსახურების თანამშრომლობა არ შემოიფარგლება მარტო ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებით. ამ ორი უწყების შეთანხმებული მოქმედება ხელს უწყობს საზღვრების უსაფრთხოებას რეგიონში, მათ შორის ჩეჩნეთში მშვიდობის განმტკიცებას. საინფორმაციო წყარო, ცხადია, არ დასახელებულა.

# „ქართველებმაც უნდა ვისწავლოთ უცხოელ ინვესტორებთან ურთიერთობა“

## სპეციალურად დსთ-ს ქვეყნებისათვის

უცხოელ ინვესტორებთან ურთიერთობის სწავლის აუცილებლობაში დარწმუნებულია საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს საორგანიზაციო-საინფორმაციო სამმართველოს უფროსი მერაბ გაბუნია, რომელიც ახლახან დაბრუნდა სტამბოლიდან, სადაც "ოისიდის" საერთაშორისო განვათარების სააგენტოს სემინარი ჩატარდა. ეს ორგანიზაცია ავსტრიის დედაქალაქ ვენასა და სტამბულში სისტემატურად ატარებს ასეთ ღონისძიებებს დამოუკიდებელ სახე მწიფოთა თანამეგობრობაში შემავალი ქვეყნებისათვის. ძირითადად მასში მონაწილეობენ შუა აზიის, ამიერკავკასიის, მოლდავეთისა და მონღოლეთის წარმომადგენლები.

კითხვაზე, ამჯერად ვინ მონაწილეობდა სემინარში და რა საკითხები იყო განხილული, ბატონმა მერაბმა გვიპასუხა: სხვებთან ერთად ამჯერად ჩვენი მცირერიცხოვანი ჯგუფიც იყო, რომელშიც შედიოდნენ პარლამენტარები ალექსანდრე ჯიბლაძე, ივანე ბალიაშვილი, ტელერადიოკომიტეტის წარმომადგენელი, "მსჯეფსის" მთავარი რედაქტორი გურამ კავილაძე. მათთან ერთად გახლდით მეც. სემინარზე განხილული იყო დსთ-ს ქვეყნებში უცხოელ ინვესტორთა მოზიდვის პრობლემები, ევრო ზუსტად დსთ-თან ერთად ევროპისა და მთელ მსოფლიოში ინვესტორების საკითხი. სემინარი ოთხდღიანი იყო. მე ჩამოგითვლით ამ დროის განმავლობაში სემინარზე წარმოდგენილ და გაანალიზებულ თემატიკას. ეს იყო ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებდნენ და გარკვეულ გავლენას ახდენდნენ უცხოეთის ინვესტიციებზე გადაწყვეტილებების მიღების დროს, ვთქვათ, ასეთი თემები — შეღავათები და სტიმულები სხვადასხვა ქვეყნებში ინვესტიციებთან დაკავშირებით, საერთაშორისო ინვესტირების ტენდენცია და პოლიტიკა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სამართლებრივი სისტემა, ინვესტიციების დაგეგმვა, პროგრამირება და მისი განხორციელება, უცხოური ინვესტიციების სააგენტოების როლი ინვესტირებაში. ასეთი სააგენტო ახლა ჩვენთანაც შეიქმნა. შესწავლილი იყო ქვეყნების რეიტინგული მაჩვენებლები. თვალსაჩინოებისთვის შემიძლია გითხრათ, რომ ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს შვეიცარიას — 95 პროცენტი, ყველაზე დაბალი — სუდანს — 6 პროცენტი. შედარებისათვის: რუსეთისათვის ეს მაჩვენებელი 16 პროცენტს შეადგენს.

— საქართველო არ ყოფილა განხილული?

— რა თქმა უნდა იყო, ჩვენთვის ეს მაჩვენებელი 15 პროცენტია. გარდა ამისა საუბარი იყო საინვესტიციო პროექტების ფინანსირებაზე, სხვადასხვა ქვეყნებში ინვესტირების დაცვაზე. ეს არის ძირითადად განხილული პრობლემების ნუსხა. აქვე აღვნიშნავ, რომ ჩვენთან მუშაობდნენ ბატონი მაიკლ ფოლი — ირლანდიის საინვესტიციო სააგენტოს აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების უფროსი, ბატონი პაულ ვაისი — გერმანიის საინვესტიციო სააგენტოს წარმომადგენელი. სემინარის მუშაობას ხელმძღვანელობდა ფრანგი ქალბატონი მარიამ ნიგონი, რომელიც ძირითადად ინვესტირების სამართლებრივ მხარეზე ამახვილებდა ყურადღებას.

## ირლანდიაც შორს წასულა

**— ეს განხილვები, ეტყობა, ზოგად ხასიათს ატარებდა.**

— არა, ასეთ დასკვნას ვერ გავაკეთებთ. ყოველი საკითხის განხილვა ძირითადად ირლანდიის მაგალითზე ხდებოდა. მოგეხსენებათ, რომ ირლანდიის ეკონომიკის 50 პროცენტი უცხოურ ინვესტიციებს ეყრდნობა. 20-30 წლის უკან ირლანდიაც ჩვენსავით დასუსტებული ეკონომიკის ქვეყანა იყო, მაგრამ დიდი ძალისხმევის შედეგად, მათ შეძლეს უცხოური ინვესტიციების ფართოდ მოზიდვა. ახლა ირლანდია ერთ-ერთი განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყანაა.

**— შეგიძლიათ გვითხრათ, თუ რა გზით მიაღწიეს ასეთ წინსვლას?**

— ირლანდიას, სადაც სულ 3.5 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, არა აქვს განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მნიშვნელობა, ის არ მდებარეობს მთავარ სავაჭრო გზებზე. მიუხედავად ამისა, მათ შეძლეს უცხოელთა დაინტერესება. უპირველეს ყოვლისა ირლანდიელებმა დააწესეს მაღალი პროცენტები უცხოელი ინვესტიციების შემოსავლებზე — 25 პროცენტი. ეს მაჩვენებლები გერმანიაში შეადგენს მხოლოდ 10 პროცენტს. ამიტომ უცხოელებისათვის მიმზიდველი აღმოჩნდა ირლანდიაში კაპიტალის დაბანდება.

## სააგენტოების მოქნილი მუშაობა უზრუნველყოფს...

საქართველოსთან ირლანდიის შედარებაც კი არ შეიძლება. ჩვენ გაცილებით მიმზიდველი პირობები გვაქვს, როგორც გეოგრაფიული, ასევე მდიდარი ბუნებით, მისი სრულად გამოყენებისათვის საჭიროა უფრო მოქნილი პოლიტიკა.ჩემი აზრით, ამ საქმეს უნდა ხელმძღვანელობდეს ერთი უწყება, რომელსაც შესაფერისი კომპეტენციაც ექნება და შესაძლებლობებიც, თუნდაც საინვესტიციო სააგენტო. შედარებისათვის ისევ ირლანდიის მაგალითს მოგიყვანთ. ჩვენთან ამ სააგენტოს რეგისტრატორის ფუნქცია აკისრია, ირლანდიაში კი საქმე ცოტა სხვანაირად არის. იქ უცხოური ინვესტიციების სააგენტოში 550-მდე კაცი მუშაობს. აქედან 200-ზე მეტი ირლანდიის საზღვრებს გარეთ — უცხოეთის ქვეყნებში იღვწის. სააგენტოს 9 ქვეყანაში აქვს გახსნილი თავისი ფილიალები. მათი მიზანია მიიზიდონ ინვესტორები, რომლებიც ირლანდიაში თავიანთ კაპიტალს დააბანდებენ. სააგენტო არის ძლიერი ორგანიზაცია, ამასთან მაღალანაზღაურებადი. მისი მუშაკები გაცილებით მაღალ ხელფასს იღებენ, ვიდრე სამინისტროების, თუნდაც მთავრობის აპარატში მომუშავე ჩინოვნიკები. ოღონდ ერთიც ხაზგასმულად უნდა ვთქვა: აქ მუშაობა განსაკუთრებულ კომპეტენციას მოითხოვს და შემთხვევით ხალხს იქ არაფერი ესაქმება.

ცხადია, სადაც სახელმწიფო განსაკუთრებით დაინტერესებულია, იმ უბნებზე რეჟიმიც განსხვავებულია, ამიტომ საინვესტიციო საქმიანობა ძალიან მოქნილია და ქვეყანაც განვითარებული.

## მთავარია რეფორმა და საკანონმდებლო გზა

**— თქვენი აზრით, რა არის საჭირო იმისათვის, რომ ამ მიმართულებით მუშაობა უფრო სრულყოფილი გახდეს და ყველაზე ოპტიმალური გზები იქნეს შერჩეული?**

— მე მხოლოდ ჩემს პირად აზრს მოგახსენებთ და ისევ ირლანდიის მაგალითს მოვიშველიებ. ძირითადად არსებობს 11 მიმართულება, რომელზედაც ქვეყანაში ყურადღება უნდა გამახვილდეს, თუ გვინდა, რომ უცხოურ ინვესტიციებს ფართო გზა გაეხსნათ. პირველი ეს არის მაკროეკონომიკური პოლიტიკა. რას უნდა შეიცავდეს იგი? უპირველეს ყოვლისა ეს არის ფასების გათავისუფლება. შემდეგ — ეროვნული ვალუტის კონვერტირებადობა. მესამე — ეს არის ბრძოლა ინფლაციის წინააღმდეგ. მეოთხეა ვაჭრობის ლიბერალიზაცია. მაკროეკონომიკური პოლიტიკა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ამ ოთხ ელემენტს მაინც.

მეორე ძირითადი მიმართულებაა საქმიანი ოპერაციების სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბება — სამოქალაქო და სავაჭრო კოდექსების არსებობა. ასევე უნდა იყოს კანონი სააქციონერო საზოგადოებებისა და გაკოტრების შესახებ. უნდა შეიქმნას თანამედროვე საბუღალტრო სისტემა, არსებობდეს ანტიმონოპოლიური კანონი, უძრავი ქონების ფლობა უნდა რეგულირდებოდეს საკანონმდებლო აქტით. კანონი უნდა იცავდეს კერძო საკუთრებას, ბუნებრივი რესურსების გამოყენებას და ა.შ.

მესამე ძირითადი მიმართულებაა უცხოური ინვესტიციების დაცვა თავისთავად ცხადია, უნდა არსებობდეს კანონი უცხოურ ინვესტიციებზე. ქვეყანა უნდა აღიარებდეს ენერგეტიკულ ქარტიას და მრავალმხრივ შეთანხმებებს ინვესტიციების შესახებ.

მეოთხე — ეს არის სახელმწიფო ქონების პრივატიზება. აქ მთავარია საჯაროობა და უცხოური კომპანიების მონაწილეობის უზრუნველყოფა.

მეხუთე ძირითადი მიმართულებაა საგადასახადო სისტემის რეფორმა, მეექვსე — ადმინისტრაციული რეფორმა, მეშვიდე —სასამართლო რეფორმის ჩატარება, მერვე — კომპეტენცია, მეცხრე — სამუშაო ძალის მიმართ ერთიანი პოლიტიკის ჩამოყალიბება, მეათე — ინფორმაციული უზრუნველყოფა და მეთერთმეტე — საქმიანი წრეების დიალოგის საკითხები.

ყოველივე ეს აუცილებელია ქვეყანაში უცხოური ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად.

## რა გვაქვს ჩვენ?

— ზემოთდასახელებული ღონისძიებებიდან რა არა აქვს განხორციელებული საქართველოს? — უპირველესი — ჩვენი ეროვნული ვალუტა — ლარი კონვერტირებადი არ არის, არ გვაქვს სავაჭრო კოდექსი, თანამედროვე საბუღალტრო სისტემა, დასამთავრებელია საგადასახადო სისტემის რეფორმა, რომელიც ახლა მიმდინარეობს და ბოლომდეა მისაყვანი. ყველაზე მეტად უნდა დაიხვეწოს შრომითი ხელშეკრულებები, რაც თავისთავად პროფკავშირების როლის ამაღლებას გულისხმობს. ჯერ არ გვაქვს შექმნილი უცხოური ინვესტიციების საკონსულტაციო საბჭო, რომელიც უცხოური ინვესტირების საკითხებს განიხილავს სამთავრობო დონეზე.

აი, ეს არის ის მთავარი მიმართულებები, რომელთა სრულყოფამ უცხოური ინვესტიციების მოზიდვა უნდა უზრუნველყოს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ინვესტირება არის კონკურენტული ბაზარი. აქ მიმდინარეობს ძლიერი კონკურენცია იმაზე, თუ ვინ გადაიბირებს ინვესტორს, ვინ როგორ და რა პირობებს შესთავაზებს კაპიტალის დასაბანდებლად. სემინარზეც ხაზგასმით გამოიკვეთა, რომ ყველა ქვეყანა ცდილობს მიიზიდოს რაც შეიძლება მეტი ინვესტორი. ისეთ ქვეყანაშიც კი, როგორიც საფრანგეთია, ეკონომიკის ერთ მესამედს უცხოელები აფინანსებენ. ამით საფრანგეთი ზრდის სამუშაო ადგილებს, აღიდებს თავის დოვლათს და ა.შ.

ეს მაძლევს საფუძველს იმისათვის, რომ ვთქვა: ე.წ. "ურაპატრიოტიზმი" მორს ვერ წაგვიყვანს და ყველამ უნდა გავაკეთოთ ის, რაც შეგვიძლია უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად. ეს იქნება ჩვენი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მთლიანად ეკონომიკის აღორძინების საფუძველი.

ესაუბრა
რ. ქორიძე

---

**რეპლიკა**

## სად მიდიან მართვის მოწმობები?

ამ ბოლო დროს საგზაო პოლიცია ძალიან გამოცოცხლდა. ბევრ კარგ საქმეს მოაბა თავი, რის შემდეგაც საგრძნობი წესრიგიც დამყარდა, მაგრამ პოლიციის ზოგიერთ თანამშრომელს უაღრესად ცუდი სენი გაუჩნდა — გულმავიწყობა დასჩემდა. მცირე დარღვევისათვის ჩამორთმეული მართვის მოწმობები სადღაც ქრებიან და მფლობელები თვეობით ელოდებიან რაიონულ განყოფილებაში მათ დაბრუნებას. მოხევის ნიშანდაზიანებული და დაჯარიმებული მძღოლები ცნობასთან ერთად იღებენ პირობას, რომ ერთ კვირაში საბუთები ადგილზე იქნება, მაგრამ... დაპირება დაპირებად რჩება, ხალხი საქმეს წყდება, დადის რაიონულ განყოფილებაში ერთი, ორი, სამი კვირა და... ვითომც არაფერი. იხარჯება დრო, ენერგია, ნერვები, იძაბება ურთიერთობა ავტომფლობელებსა და წესრიგის დამცველებს შორის, რაც არცერთი მხარისათვის არ არის სასურველი და სასარგებლო.

სასჯელსაც ზომა აქვს და დროით განისაზღვრება. დრო ახლა ფული ღირს. წესი კი ყველასთვის ერთია — მოვალეობის ჯეროვნად შესრულება. ეს წესრიგის დამცველებსაც ეხება

ს. ქირთაძე. თბილისი.

## ელექტროენერგიაზე ფასი მოიმატებს?

ყოველ შემთხვევაში ასე აცხადებენ კონტროლიორები, რომლებიც მოსახლეობაში დახარჯული ელექტროენერგიის საფასურს აგროვებენ.

მათი თქმით 1 აგვისტოდან კილოვატსაათი 4.5 თეთრი ეღირება. არ არის გამორიცხული, რომ ისინი ხალხს აშინებენ და ასეთი ხერხით ცდილობდნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას. უვარგისი ხერხია, მაგრამ ვაითუ, მართლებიც არიან. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი ორგანოები არ უნდა დუმდნენ. მოსახლეობამ ინფორმაცია დროზე უნდა მიიღოს.

## რას წარმოადგენს უმაღლესი კომერციული სასწავლებლის კურსდამთავრებული?

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელოვნების მუზეუმის საგამოფენო დარბაზებს ბევრი საინტერესო ექსპოზიცია ახსოვთ, შეიძლება ითქვას, რომ ამჯერად სიახლის მოწმენი გავხდით. აქ პირველად გაიმართა ახალგაზრდა მხატვართა გამოფენა, რომლებმაც ეს-ეს არის დატოვეს თავიანთი სასწავლო აუდიტორიები. გამოფენაზე საქართველოს "მცირე აკადემიის" ფერწერის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა პირველი თაობის სადიპლომო ნამუშევრების ექსპოზიციაა წარმოდგენილი, რამაც სპეციალისტებისა და დამთვალიერებლების ყურადღება მიიპყრო, ამ ღონისძიების მთავარი მიზანი იყო პასუხი გაეცა კითხვაზე, თუ რას წარმოადგენს ფასიანი სამხატვრო უმაღლესი სასწავლებელი. ამ ტიპის დაწესებულებები ხომ დღესდღეობით, სამწუხაროდ, დიდი ავტორიტეტით ვერ სარგებლობენ.შეიძლება ითქვას, რომ "გამოცდამ" წარმატებით ჩაიარა. ამას ადასტურებს მუზეუმის დირექტორის პროფესორ ნოდარ ლომოურის მიერ ნამუშევრების მაღალი შეფასება.

გასაგებიც არის. სტუდენტთა აღზრდის საქმეს ემსახურებოდნენ ისეთი კვალიფიციური ხელოვნების ოსტატები, როგორებიც არიან მუზეუმის საგამოფენო განყოფილების გამგე, ფერწერის მასწავლებელი და გამოფენის ინიციატორი გიორგი მაქაცარია, პროფესორი მამია ახობაძე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, პროფესორი გივი თოიძე და სხვები.

ბელა ქობალია.

## აფხაზეთიდან დევნილი ბავშვები ქართულ სკოლაში ისწავლიან

სოჭის ადმინისტრაციამ დააკმაყოფილა ქართული დიასპორის თხოვნა — ახალი სასწავლო წლიდან ლტოლვილი ბავშვები მშობლიურ ენაზე ისწავლიან. ერთი სკოლა გაიხსნება ქალაქის ცენტრში, მეორე — ფუნქციონირებას დაიწყებს სოფელ პლასტუნკაში, სადაც ქართველები კომპაქტურად ადრეც ცხოვრობდნენ, მაგრამ ქართულად სწავლება მხოლოდ დაწყებით სკოლებში მიმდინარეობდა.

სახელმძღვანელოების პრობლემა საქართველოს განათლების სამინისტროს მეშვეობით გადაწყდება.

---

## სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში

# ჩატარდება ახალი ტიპის აუქციონები

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში გამართულ პრეს-კონფერენციაზე მინისტრის მოადგილემ ბატონმა დიდბერიძემ ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ ამჟამად სამინისტრო ამზადებს რამდენიმე საკანონმდებლო ნორმატიულ დოკუმენტს. მართალია მასობრივი პრივატიზება უკვე დასრულებულია, მაგრამ ბევრი საპრივატიზებო აქციის რეალიზება 1997 წლის ბოლომდე გასტანს. ამაში, — აღნიშნა მინისტრის მოადგილემ, — მოსახლეობის რაც შეიძლება მეტმა ნაწილმა უნდა მიიღოს მონაწილეობა.

ერთ-ერთი პროგრამით გათვალისწინებულია 10 ლარიანი სპეციალიზებული საბარათო აუქციონების ჩატარება. 10 ლარი შეცვლის 1 ვაუჩერს. ნავარაუდევია, რომ აუქციონები სამხარეო ადმინისტრაციულ ცენტრებში ჩატარდება. აქციების აუქციონის წესით — "ჩაქუჩის წესით" გაყიდვა უსახსრობის გამო მოსახლეობის ფართო ფენისათვის წამგებიანია. საქართველოში საშუალო ფენა უნდა შეიქმნას. ვფიქრობთ, — თქვა ბატონმა დიდბერიძემ, — რომ 10 ლარიანი სპეციალიზებული აუქციონები ამისათვის გარკვეული ნაბიჯის გადადგმას ნიშნავს.

# „პრეტენზიები სამართლიანია“

(დასასრული)

**"პ.მ.": თავად სამმართველო რამდენად ქმედითუნარიანია მესაკუთრის ინტერესების დასაცავად?**

ვ.კ.: არსებული საკანონმდებლო ბაზის გამოყენებით დეპარტამენტი მაქსიმალურად იცავს მესაკუთრეთა ინტერესებს ყველა ინსტანციაში.

**"პ.მ.": თბილისში ობიექტების გარკვეული რაოდენობა ვერ იქნა პრივატიზებული, ანუ არ გაიყიდა. რატომ? რა ბედი ელით ამ ობიექტებს?**

ვ.კ.: ობიექტები, რომლებიც შედიან საპრივატიზებო ნუსხაში და ვერ ისარგებლეს სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულებით შრომით კოლექტივებზე პირდაპირი მიყიდვის მესახებ, გაიყიდება აუქციონზე. პრივატიზაციის პროცესი გრძელდება და იმედი გვაქვს ობიექტებს გამოუჩნდებათ ისეთი მყიდველები, რომლებიც შეძლებენ მის ყიდვასაც და სრული დატვირთვით ამუშავებასაც.

**"პ.მ.": რამდენიმე შრომითმა კოლექტივმა უკმაყოფილება გამოთქვა ობიექტის არასწორად პრივატიზების გამო, იყო გაფიცვის შემთხვევები. რატომ მოხდა ეს და როგორ მოაგვარეთ სადავო პრობლემები?**

ვ.კ.: იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც კოლექტივის რომელიმე წევრმა სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო ვერ ისარგებლა პრივატიზების პროცესში მათზე მინიჭებული უფლებებით. ყველა ასეთი შემთხვევა წყდება კანონიერად, ურთიერთმოლაპარაკების ან სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისად.

**"პ.მ.": თქვენ უკმაყოფილო ბრძანდებით ჩვენი გაზეთით და ოფიციალურად აცხადებთ, რომ გაზეთს "არაოპერატიულობის გამო არ გამოუქვეყნებია არც ერთი განცხადება". რამდენად სწორია ეს და რითი ადასტურებთ ნათქვამის სისწორეს?**

ვ.კ.: რამდენადაც ჩემთვის ცნობილია დეპარტამენტის ყოფილ ხელმძღვანელობას საერთოდ შეწყვეტილი ჰქონდა გაზეთ "პრივატიზების მაცნე"-ს დაფინანსება(?!) ალბათ ეს კითხვა მათ ეკუთვნით და, მე ვფიქრობ, პასუხიც ექნებათ. ჩემი დანიშვნის დღიდან მე განვაახლე თქვენს ანგარიშზე ფულის ჩარიცხვა, თუმცა პრაქტიკა აჩვენებს, რომ დეპარტამენტის სტრუქტურები ვერ სარგებლობენ (?!) გაზეთის მომსახურებით. ამდენად, ალბათ, საფიქრებელია შეიქნას მუშაობისა და ურთიერთობის ისეთი სისტემა, რომელიც მისაღები იქნება ყველა მხარისათვის.

**"პ.მ.": უნდა გითხრათ, რომ ძალიან ძნელია თქვენთან დაკავშირება. ხშირად ბრძანდებით თათბირებზე, სხვადასხვა ღონისძიებებზე. რას ეწირება თქვენი სამუშაო დროის ყველაზე დიდი ნაწილი?**

ვ.კ.: მე მიღების დღეები და საათები პრაქტიკულად არ გამაჩნია, რადგან დილიდან საღამომდე ყოველდღიურად მიწევს მოქალაქეებთან ურთიერთობა და სამუშაო რიტმი ერთობ დაძაბული მაქვს. მიუხედავად ამისა, ჩემთან დაკავშირება პრობლემას არ წარმოადგენს.

რედაქციაში წერილი მოვიდა

# საჭიროა ხელახალი გამოცემა

ქართული პრესა, ტელევიზია, რადიო ბევრს ცოდავს. ნუ ჩამითვლით ასეთ კატეგორიულ განცხადებას თავხედობად, ნურც გადაჭარბებად. მათ საერთო შეფასებას არ ვაპირებ, ეს ჩემი საქმე არ არის, მათ ღირსება-ნაკლოვანებებს ერთი კაცი ვერ აწონ-დაწონის.

მე მხოლოდ ერთი საწუხარი არ მასვენებს. ხშირად ესარგებლობ საბიბლიოთეკო სამსახურით და მდიდარ ინფორმაციას ვპოულობ, ვუყურებ ტელე-რადიო გადაცემებს და მეტწილად გულნატკენი ვრჩები – იმდენ შეცდომას ვაწყდები.

მხოლოდ დასახლებული პუნქტების არასწორი დასახელება მაქეს მხედველობაში. მოცლილი არა ვარ, არც ჩემს მიერ ყურადღებაგამახვილებული ფაქტებია უმნიშვნელო, მითუმეტეს, თუ იგი ფაქტიურად საქართველოს იურისდიქციას "გაქცეულ" ტერიტორიებს, განსაკუთრებით აფხაზეთს ეხება.

ეკითხულობ ინფორმაციას და გული მწყდება, როცა, "წარჩეს" ნაცვლად "ჩარჩეს" და ჭუბურხინჯის" ნაცვლად "ჩუბურხინჯს" ვკითხულობ. მტკივა "ჩლოუდ" მონათლული "ჭლოუ" და ეს არავის გაუკვირდება, თუ ვიტყვი, რომ აფხაზეთიდან ლტოლვილი ვარ და ამ რეგიონთან დაკავშირებული სულ უმნიშვნელო ფაქტიც მალელვებს.

მაშფოთებს, რომ ჩვენს "მტერმოყვრებს" სალაპარაკოს ვუჩენთ. ადგილის სახელი არ იცით და თქვენი კუთვნილი მიწა-წყალი როგორ არისო, იტყვიან ისინი და არც უსაფუძვლოდ.

აფხაზეთში უამრავი ქართული ტოპონიმი ისედაც შეიცვალა აფხაზურით და ჩვენც ცეცხლზე ნავთს ნუ დავასხამთ.

ვფიქრობ, ინფორმაციის წყარო ქართველი მასმედიისათვის ერთი და იგივეა, თორემ ერთნაირი ხასიათის უზუსტობები საიდან გაჩნდება. ის წყაროც "გარუსებული" ჩანს, რადგან შეცდომებში ყოველთვის რუსული ენის გავლენა იგრძნობა.

ჟურნალისტთა ახალი თაობის ბევრმა წარმომადგენელმა აფხაზეთის ხეირიანად გაცნობა ვერ მოასწრო და ბუნებრივია, საკუთარ ცოდნას ვერ დაეყრდნობა. მათ დახმარება სჭირდებათ.

როგორ?

არსებობს ელემენტარული საშუალება. თავის დროზე არსებობდა ცნობარი, რომელსაც "საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა" ერქვა. მასში მოცემული იყო ყველა რაიონის, სოფლის, პატარა დასახლებული პუნქტის ზუსტი დასახელება. მასში იყო მრავალი ხარვეზი, როცა ადგილობრივი ტოპონიმი "კომუნისტური სახელით" იყო მონათლული, მაგრამ მას მაინც გარკვეული სარგებლობა მოჰქონდა.

ახლა ეს წიგნი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა და მხოლოდ უფროსი თაობის ადამიანებს თუ ახსოვთ.

ვფიქრობ, საფუძვლიანი გადამუშავების შემდეგ ამგვარი წიგნი ახლაც დიდად შეუწყობს ხელს ყველას, ვისაც კი ასეთი საკითხები აინტერესებს.

არა მგონია, ძნელი იყოს ამ მართლაც საჭირო პრობლემის მოგვარება.

**ბ. ქირთბაია.**

**რედაქციისაგან:** პატივცემული ავტორისაგან განსხვავებით ვფიქრობთ, რომ ეს პრობლემა – ასეთი სახის წიგნის შედგენა და გამოცემა დღეისათვის იოლი საქმე ნამდვილად არ არის.

წერილში დასმული საკითხი კი სერიოზულ დაფიქრებას ითხოვს. ამიტომაც ვაყენებთ მას და იმედი გვაქვს, რომ მოიძებნებიან ადამიანები, რომელთა ერთ ნაწილს ასეთი წიგნის შედგენის გამოცდილება აქვს, ხოლო მეორეს – მისი გამოცემის საშუალება ან ფული. ამაზე დახარჯული ფული წყალში გადაყრილი არ იქნება – წიგნს მყიდველი ნამდვილად ეყოლება, საქმე კი საერთო გაკეთდება.

# გაუგებრობა ისევ ტელეფონის გამო...

ჩვეული, წლების განმაელობაში ტრადიციულად ქცეული ( დიახ, ტელეფონის ნომერიც შეიძლება იყოს ტრადიციული), რაც მთავარია, ჟურნალ "სკოლა და ცხოვრების" მკითხველებისათვის დიდი ხნის ცნობილი ნომერი რომ წაგვართვეს, და მის შემდეგ ბევრი მიკითხვა-მოკითხვის, სიმართლისა და სამართლის ძებნის შემდეგ მოგვცეს ახალი, ჩვენი მკითხველისათვის ჯერ უცნობი ნომერი 98-35-49. ამას ვინღა ჩიოდა, ემუშავნა მაინც...

სულ ორიოდ თვეა, რაც ამ ნომრით სარგებლობს რედაქცია და უკვე მერამდენედ გამოგვირთეს. ყურმილის აღებისას ავტომატი გვპასუხობს "საქალაქთაშორისო დავალიანება. მიაკითხეთ რუსთაველის 31-ს."

მეტი რა გზა გვაქვს.

მივაკითხეთ რუსთაველის 31-ს. მეხუთე სამუშაო ფანჯარას.

გვაცნობენ კომპიუტერის პასუხს: დავალიანება გაქვთ ლაპარაკის – გორთან, ხაშურთან, ისევ ხაშურთან, დუშეთთან...

სრული გაუგებრობაა. არც ერთთან არანაირი საუბარი არ გვქონია.

გვაგზავნაიან მე-12 ფანჯარაში.

მეთორმეტე გვირჩევს დაებრუნდეთ მეხუთესთან და ვუთხრათ, რომ ჩვენ ახალი აბონენტები ვართ და ეს საუბრები და შესაბამისად დავალიანება ჩვენ არ გვეკუთვნის.

ვბრუნდებით მეხუთე ფანჯარასთან. გაითვალისწინეთ, რომ ყველა სამუშაო ფანჯარასთან რიგში დგომა გვიწევს.

საბოლოო პასუხი ასეთია – იცით რაო, ცნობა უნდ მოგვიტანოთ როდის დაიდგით ეს ნომერიო, რომ ვკითხეთ საიდანო, არ ვიციო, ან ბუღალტერიიდან, ან რაიონული სატელეფონო კვანძიდანო.

ეს ყველაფერი ერთ დღეს, ერთ მისვლაზე.

მაგრამ იყო მეორე დღეც, როცა ჩვენი ბუღალტერი ჩაება საქმეში.

სატელეფონო კვანძში შარშანდელი დავალიანების მონახვას დრო დასჭირდებაო.

მერე მათი მონაცემები თურმე რუსთაველის 31-ში უნდა განიხილონ.

მერე...

ასე გავა ვინ იცის რამდენი დღე.

რედაქციას კი ტელეფონი ესაჭიროება.

მერე და რა დააშავა რედაქციამ?

ვიღაცას დავალიანება აქვს და თურმე ჩვენ უნდა ვირბინოთ იმის დასადგენად, რომ ეს დავალიანება იმ ვიღაცისაა და არა ჩვენი. რომ ვიღაცას დავალიანებიანი ნომერი არ უნდა მოეცა...

ახლა ვინ გაარკვევს:

ან რატომ წაგვართვეს ჩვენი ძველი ნომერი.

ან რატომ დაგვიდგეს ნომერი (98-35-49), რომელზეც დავალიანება ირიცხებოდა?

ჟურნალ "სკოლა და ცხოვრების" რედაქციის თანამშრომლები.

# პოლიტიკური გაერთიანება ,,ინტელექტუალთა მოძრაობა"

# წესდება

**1996 წლის 12 ივლისს ჩატარდა პოლიტიკური გაერთიანება "ინტელექტუალთა მოძრაობის" დამფუძნებელი კონფერენცია.**

**"ინტელექტუალთა მოძრაობამ" ხელი უნდა შეუწყოს ადამიანის შემოქმედებით მუშაობას, ინტელექტუალური საკუთრების დაცვას. მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული საქართველოში და საქართველოს გარეთ მცხოვრებ ქართველი ერის ინტელექტუალური პოტენციალი, დაცული უნდა იქნეს მათი უფლებები საერთაშორისო ნორმების შესაბამისად.**

## 1. ზოგადი დებულებები

1.1 პოლიტიკური გაერთიანება "ინტელექტუალთა მოძრაობა" (შემდგომში პგ) არის საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონის "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ" და ამ წესდების საფუძველზე.

1.2 პგ "ინტელექტუალთა მოძრაობა" არის იურიდიული პირი, აქვს მრგვალი ბეჭედი, შტამპი სიმბოლიკა და სხვა ატრიბუტიკა, საანგარიშსწორებო ანგარიში ბანკში, მათ შორის სავალუტო.

1.3 პგ "ინტელექტუალთა მოძრაობის" შტაბ-ბინა მდებარეობს ქ. თბილისში.

## 2. მიზნები და ამოცანები

2.1 პგ "ინტელექტუალთა მოძრაობის მიზანია საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცება, დემოკრატიის დამკვიდრება, ადამიანის უფლებების დაცვა და საქართველოს ეკონომიკური აღორძინება.

პგ "ინტელექტუალთა მოძრაობის" უმთავრესი ამოცანაა:

– ხელი შეუწყოს ადამიანის შემოქმედებით მუშაობას, ინტელექტუალური საკუთრების დაცვას, მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ერის პროგრესულად მოაზროვნეთა ინტელექტუალური პოტენციალი, დაცული იქნეს მათი უფლებები საერთაშორისო ნორმების შესაბამისად.

– ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის სრულყოფილად მოწესრიგება საკუთარ ენერგომატარებლებზე დაყრდნობისა და მათი ეფექტური გამოყენებით.

– ქართული სოფლის აღორძინება, რაც ჩვენი ქვეყნის სიძლიერისა და სრული დამოუკიდებლობის საწინდარია.

– ეროვნული ბუნებრივი რესურსების დაცვა და რაციონალური ბუნებათსარგებლობა.

– უცხოეთის ქვეყნებში არსებულ ქართულ სათვისტომოებთან კავშირის დამყარება, იქ მცხოვრებ თანამემამულეთა შემოქმედებითი პოტენციალის ერის სამსახურში ჩაყენება.

## 3. პგ ,,ინტელექტუალთა მოძრაობის" წევრობა და მათი უფლება-მოვალეობანი.

3.1 წევრი შეიძლება იყოს საარჩევნო ხმის მქონე საქართველოს ყოველი მოქალაქე, რომელიც აღიარებს პგ "ინტელექტუალთა მოძრაობის წესდებას, მატერიალურად ეხმარება მას, მონაწილეობას იღებს მისი ამოცანების განხორციელებაში და არ არის რომელიმე სხვა პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი.

3.2 წევრს უფლება აქვს აირჩიოს და არჩეული იქნეს ხელმძღვანელ ორგანოებში.

3.3 წევრი ვალდებულია განუხრელად დაიცვას საწესდებო მოთხოვნები.

3.4 წესდების უხეში დარღვევისათვის წევრი შეიძლება გაირიცხოს წევრობიდან ხელმძღვანელი ორგანოების სხდომის გადაწყვეტილებით.

## 4. პგ ,,ინტელექტუალთა მოძრაობის" – ორგანიზაციული სტრუქტურა ადგილობრივი ორგანიზაცია

4.1 პგ "ინტელექტუალთა მოძრაობის" საფუძველია ადგილობრივი ორგანიზაცია, რომელიც იქმნება ტერიტორიული ნიშნის მიხედვით და მასში გაერთიანებულია არა ნაკლებ 3 წევრი.

4.2 ადგილობრივი ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება, რომელიც ტარდება წელიწადში ერთხელ და ირჩევს თავმჯდომარეს ერთი წლის ვადით.

4.3 ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარე წარმოადგენს რაიონული (საქალაქო) ორგანიზაციის კომიტეტის წევრს, ხელმძღვანელობს სათათბიროს, რომლის სხდომა იმართება ყოველ თვეში ერთხელ.

4.4 ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანო, სათათბირო, ასრულებს შემდგომი ორგანოების დადგენილებებს და გადაწყვეტილებებს, აწარმოებს წევრთა აღრიცხვას, საწევრო ანარიცხების აკრეფა-ანგარიშსწორებას.

## 5. რაიონული (საქალაქო) ორგანიზაციები

5.1 რაიონული (საქალაქო) ორგანიზაციების უმაღლესი ორგანოა რაიონული (საქალაქო) კონფერენციები, რომელიც ირჩევს თავმჯდომარეს ორი წლის ვადით, თავმჯდომარე ამავე დროს არის მთავარი კომიტეტის წევრი.

5.2 რაიონული (საქალაქო) ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოა კომიტეტი, რომელიც კონფერენციებს შორის პერიოდში წარმართავს თავის საქმიანობას პროგრამის და წესდების მოთხოვნის შესასრულებლად. მას უფლება აქვს აირჩიოს ან გადაირჩიოს რაიონული (საქალაქო) ორგანიზაციის თავმჯდომარე. იგი ანგარიშვალდებულია კონფერენციის წინაშე.

5.3 რაიონული (საქალაქო) ორგანიზაციის კომიტეტის სხდომები ტარდება თვეში ერთხელ, თუ მას ესწრება არანაკლებ კომიტეტის წევრთა 2/3-სა და გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით.

5.4 რაიონული საქალაქო) ორგანიზაციების შემადგენლობაში შედიან ადგილობრივი ორგანიზაციები.

## 6. პგ ,,ინტელექტუალთა მოძრაობის" ხელმძღვანელი ორგანო

6.1 პგ "ინტელექტუალთა მოძრაობის" უმაღლესი ორგანოა ყრილობა. ყრილობაზე წარმომადგენლობით ნორმასა და დელეგატების არჩევის წესს განსაზღვრავს მთავარი კომიტეტი.

6.2 საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა ტარდება სამ წელიწადში ერთხელ, რიგგარეშე ყრილობა მთავარი კომიტეტის წევრთა 2/3 -ის მოთხოვნით.

6.3 ყრილობა უფლებამოსილია თუ მას ესწრება დელეგატთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 2/3-სა, გადაწყვეტილებების მიღება ხდება ხმათა უბრალო უმრავლესობით.

6.4 ყრილობა:

– ირჩევს თავმჯდომარეს სამი წლის ვადით, მთავარი საკონტროლო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს და წევრებს.

– იღებს წესდებას, შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებანი.

## 7. მთავარი კომიტეტი

7.1 ყრილობებს შორის პერიოდში მთავარი ორგანოა მთავარი კომიტეტი, რომლის მუდმივ წევრებად შედიან თავმჯდომარე, მოადგილეები, რაიონული (საქალაქო) ორგანიზაციის თავმჯდომარეები.

მთავარი კომიტეტი:

– თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს პირველ მოადგილეს, მოადგილეებს, პოლიტიკურ მდივანს, საზოგადოებრივი ურთიერთობის მდივანს, პრეს-მდივანს, კოორდინატორებს, განყოფილების გამგეებს, აპარატის მუშაკებს და სხვა.

– განიხილავს და განსაზღვრავს ორგანიზაციის საქმიანობის მიმდინარე საკითხებს, ღებულობს გადაწყვეტილებებს პოლიტიკური გაერთიანების სტრატეგიისა და ტაქტიკის განსაზღვრის მიზნით.

– ქმნის ან აუქმებს კომისიებს, მუშა ჯგუფებს, სხვა სტრატეგიულ დანაყოფებს.

– წარმართავს საარჩევნო კომპანიას, ღებულობს გადაწყვეტილებას ყრილობის მოწვევის შესახებ.

– კოორდინაციას უწევს რაიონული (საქალაქო) კომიტეტების საქმიანობას.

– ღებულობს გადაწყვეტილებებს საქმიანობის სხვა ორგანიზაციულ პოლიტიკურ საკითხებზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

7.2 მთავარი კომიტეტის სხდომები მოიწვევა სამ თვეში ერთხელ, მთავარი კომიტეტი უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა არანაკლებ 2/3-ისა. გადაწყვეტილებებს ღებულობს ხმათა უბრალო უმრავლესობით.

7.3 მთავარი კომიტეტი თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თორმეტ წევრს თავმჯდომარესთან ერთად, რომელიც წარმოადგენს პრეზიდიუმს. პრეზიდიუმი ახორციელებს ოპერატიულ მართვას, წყვეტს მიმდინარე პოლიტიკურ, სამეურნეო საკადრო საკითხებს.

– პრეზიდიუმი ირჩევა ღია კენჭის ყრით ერთი წლის ვადით.

– პრეზიდიუმის სხდომა იმართება კვირაში ერთხელ.– პრეზიდიუმის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი – პრეზიდენტი მუშაობს კონსენსუსის პრინციპით.

## 8. პგ ,,ინტელექტუალთა მოძრაობის" თავმჯდომარე

8.1 პგ "ინტელექტუალთა მოძრაობის" თავმჯდომარე არის უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც წარმოადგენს პოლიტიკურ ორგანიზაციას ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ურთიერთობაში.

8.2 წარმართავს პოლიტიკურ და იდეოლოგიურ საქმიანობას ყრილობისა და მთავარი კომიტეტის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

8.3 შეიმუშავებს და შეაქვს წინადადებები ყრილობის ან მთავარი კომიტეტის სხდომებზე დასამტკიცებლად.

8.4 აწარმოებს ორგანიზაციის სახელით მოლაპარაკებებს, დებს ხელშეკრულებებს, აკეთებს განცხადებებს.

8.5 ნიშნავს და ათავისუფლებს მთავარი კომიტეტის პასუხისმგებელ მუშაკებს და წარმოადგენს მორიგ სხდომაზე დასამტკიცებლად.

8.6 გასცემს ბრძანებებსა და განკარგულებებს აპარატის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

8.7 თავმჯდომარის წარდგინებით, ღია კენჭისყრით, მთავარი კომიტეტი ირჩევს პარტიის პოლიტიკის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მდივანს:

– პოლიტიკური მდივანი ხელმძღვანელობს პარტიული სტრუქტურების მუშაობას.

– საზოგადოებრივი ურთიერთობის მდივანი ახორციელებს და კოორდინირებას უწევს ურთიერთობას საზოგადოებრივ ჯგუფებთან, პოლიტიკურ ორგანიზაციებთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან და სხვა.

## 9. პგ ,,ინტელექტუალთა მოძრაობის" ფულადი სახსრები

9.1 ფულადი სახსრები შედგება საწევრო ანარიცხებისაგან, კერძო პირთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შემოწირულობისაგან, საგამომცემლო საქმიანობისა და სიმბოლიკის დამზადება – გავრცელებით მიღებული შემოსავლებისაგან.

## 10. პგ ,,ინტელექტუალთა მოძრაობის" ლიკვიდაცია

10.1 ორგანიზაციის ლიკვიდაცია ხდება ყრილობაზე დელეგატთა სიითი შემადგენლობის 2/3-ის გადაწყვეტილებით, ან კანონით დადგენილ სხვა შემთხვევებში

10.2 ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება ნაწილდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## ,,ალექსანდრე ლებედი სულ არ ჰგავს იოსებ ბესარიონის ძე სტალინს"



ფრიად ორიგინალური პრესკონფერენცია გამართა "ტრუდოვაია როსიას" ლიდერმა ანპილოვმა. მაღალი სიცხისა და შესაფერისი დარბაზის უქონლობის გამო მან მასმედიის წარმომადგენლები მაღლივი კორპუსის ჩრდილში მიიწვია და ცივი ლუდითაც გაუმასპინძლდა.

ანპილოვმა მთელ რიგ საკითხების ანალიზთან ერთად ელცინის გუნდის ზოგიერთი წევრიც დაახასიათა. პოლიტიკოსიდან ჩინოვნიკად ქცეულ (ასე დაახასიათა ალექსანდრე ლებედმა თავისი მდგომარეობა) სახელმწიფო უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეზე თქვა, რომ გენერალს ძალიან მოენატრა იოსებ ბესარიონის ძე სტალინი.

"ოღონდ ინტელექტით, მეტყველებისა და მოქმედების მანერით, ჟურნალისტებთან ურთიერთობით ლებედი სულ არ ჰგავს იოსებ ბესარიონის ძე სტალინს – დაასკვნა ანპილოვმა.

## სამხედრო ტრიბუნალი სხვის ნაცვლად ასამართლებდა

ჰააგაში პატიმრობაში ჰყავდათ ბოსნიელი სერბი გორან ლაჯიჩი, რომელსაც ბრალად ედებოდა ბოსნიის ჩრდილოეთით მდებარე ბანაკ კერატერმში ჩადენილი დანაშაულებანი.

იგი 1996 წლის მარტში გერმანიაში დააკავეს და გასასამართლებლად ტრიბუნალს გადასცეს.

პატიმრობაში სამი თვის ყოფნის შემდეგ გაირკვა, რომ მისი დაპატიმრება "იდენტიფიკაციაში შეცდომის" შედეგი ყოფილი. რაც მთავარია ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე თურმე ბევრ გორან ლაჯიჩს უცხოვრია, ამ შემთხვევაში კი ისე მოხდა, რომ დააკავეს სხვა და არა ის, ვისაც ეძებდნენ. ასე რომ, გორან ლაჯიჩი გაათავისუფლეს და ოჯახში, გერმანიაში გაუშვეს.

## ყაზახეთი უცხოპლანეტელებმა დაათვალიერეს

საინფორმაციო საშუალებები კვლავ დაუბრუნდნენ თითქმის მივიწყებულ თემას – "მფრინავ თეფშებსა" და უცხოპლანეტელებს.

როგორც რუსეთის საინფორმაციო წყაროებმა გადმოსცეს, ყაზახეთის ცაზე "მფრინავი თეფში" გამოჩნდა. მას სამკუთხედის ფორმა ჰქონდა და შუქის წვრილ ნაკადს გამოჰყოფდა.

იმავე წყაროების ცნობით, უცხო ობიექტი სამხედრო ნაწილის რადარმაც დააფიქსირა.

"თეფში" ბაიკონურის კოსმოდრომზე არ დაშვებულა, კონტაქტის დამყარება არ უცდია.

როგორც ამბობენ, რადარის მონაცემებს მეცნიერები სწავლობენ.

## მიუსამძიმრეს დაღუპულთა და დაშავებულთა ოჯახებს

რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა, პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ჩერნომირდინმა, უშიშროების საბჭოს მდივანმა ალექსანდრე ლებედმა სამძიმარი გამოუცხადეს ატლანტაში მომხდარი აფეთქების შედეგად დაღუპულთა და დაშავებულთა ოჯახებს.

თავად რუსეთში კი ტერორისტული აქციები გრძელდება. ის თითქმის ყოველდღიურ მოვლენად იქცა.

მესაკუთრე

# სამი მეგობარი — მასწავლებელი, ექიმი, მუსიკოსი.

## მეტროს სადგურ "სამედიცინოსთან" ახალ მაღაზიაში ყველაფერი იაფია

ცხოვრება ჩვენს თვალწინ ელვის უსწრაფესად იცვლება.

იცვლება როგორც გარეგნულად, ისე შინაარსით.

მახსენდება, პირველად საკმაოდ დიდი ხნის წინათ, საზღვარგარეთ, რა თქმა უნდა, ტურისტული საგზურით რომ მოვხვდი, სხვა ღირსშესანიშნაობებს რომ თავი დავანებოთ, ჩვეულებრივმა მაღაზიებმაც ღრმა შთაბეჭდილება დატოვეს. მაღაზიის კარს შეაღებდი თუ არა, იქვე მოვიდოდნენ და სამსახურს შემოგთავაზებდნენ...

დღეს ეს ყველაფერი ჩვენთანაც შემოვიდა. სამოცდაათწლიანმა მუხრუჭმა ვერ შეაჩერა საზოგადოებრივი ცხოვრების ბუნებრივი განვითარება. ისევ გაიღვიძა ადამიანის ინდივიდუალობამ და თავის ჭეშმარიტ გზას დაუბრუნდა.

გაჩნდა იმის პირობები, რომ ადამიანი გამოჩნდეს როგორც ინდივიდი, ჰქონდეს ცხოვრების სახსარი, გამოავლინოს უნარი, რაც შეუძლია, რისი გაკეთება სურს და რაც მთავარია, მომხმარებელსაც ადამიანად აგრძნობინოს თავი.

რასაკვირველია, საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების დროს, ყველაზე მეტად ჩვენი საზოგადოების იმ ფენას გაუჭირდა, რომელიც ძირითადად ინტელექტუალურ საქმიანობას ეწეოდა, მასწავლებლობდა, კომპოზიტორობდა, ექიმობდა...

მაგრამ რას ვიზამთ, ცხოვრება თავისას მოითხოვს. შეიძლება ის ანდაზაც გავიხსენოთ, ბრძენ ხალხს რომ უთქვამს — გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გიჩვენებო...

და ასე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ გაჭირვებამ გადაადგმევინა ეს ნაბიჯი სამ მეგობარს, დღეს უკვე სამ კომპანიონს. მათგან ერთი მასწავლებელია, ერთი ექიმი, ერთიც მუსიკოსი...

შეკავშირდა ეს სამი კაცი. ერთმა მანქანა გაყიდა, მეორემ ავეჯი, მესამემ საოჯახო რელიქვიაც კი... და ასე წამოიწყეს საქმე, დღეს უფრო ბიზნესად წოდებული.

თუმცა ჯერჯერობით ცოტათი უკან დავბრუნდეთ.

მეტროს სადგურ "სამედიცინოსთან" ამ უბნის მცხოვრებლებს კარგად ახსოვთ, პურის მაღაზია რომ იყო. მას საკმაოზე მეტი ფართობი ეკავა. ერთ მშვენიერ დღეს, ენახეთ როგორ გაიყო მაღაზია, გაიმიჯნა და ერთ ნაწილში ისევ პური იყიდება, მეორეში კი სასურსათო პროდუქტი. რას არ ნახავთ აქ, მარილით დაწყებულს და ცივი სასმელებით დამთავრებულს. ოღონდ ფასები ისეთია, როგორიც ყველგან, ყველა ჩვეულებრივ მაღაზიასა თუ ჯიხურში.

და აი, ამოქმედდა კონკურენცია. ეს თავისთავად, ბუნებრივად მოხდა. მოხდა გვერდით გახსნილ ახალ მაღაზიაში, რომელსაც სწორედ ზემოთნახსენები სამი კომპანიონი განაგებს.— ჩვენი მთავარი პრინციპი ასეთია, საქონელი მომხმარებელს მივაწოდოთ რამდენადაც შესაძლებელია იაფად.

რას ნიშნავს ეს "რამდენადაც შესაძლებელია" ქვემოთ მოგახსენებთ, ჯერ კი თვითონ ეს ახლადგახსნილი მაღაზია დავათვალიეროთ.

ფართო, მაღალჭერიან ოთახებს ამშვენებს შესაფერისად გაფორმებული ინტერიერი. დახლებზე გამოფენილია ნაირნაირი სასურსათო საქონელი. აქ ყველაფერია, რაც კი შემოდის რესპუბლიკაში — ბრინჯი, შაქარი, კარაქი, ზეთი, შოკოლადი, ათასი სხვა ნუგბარი. მაღაზიის მეორე მხარეს საოჯახო სამეურნეო საქონელია გამოფენილი. აქ არის ათასნაირი სარეცხი საშუალებები — ფხვნილების თუ პასტების სახით, არის სამზარეულოსათვის საჭირო ჭურჭელი, დანები... და ა.შ. ასორტიმენტის ჩამოთვლით მკითხველს არ გადავღლით.

ერთი კი, რაც მაღაზიას სხვებისაგან განასხვავებს, დანარჩენებში გამოარჩევს, არის ფასები.— და არა მარტო ფასებს,— მეუბნება აქვე დახლთან მდგომი ახალგაზრდა მანდილოსანი, მეგი მებურიშვილი, — აქ წონაში არ გაატყუებენ, ხომ იცით დიასახლისის თვალი. მურაბას რაც არ უნდა გამიჭირდეს, შეიძლება ცოტას, მაგრამ მაინც ყოველ წელს ვხარშავ ხოლმე. სამურაბე სეროპს რომ ვაკეთებ ხომ ვიცი რამდენი კილო შაქარი რა დონეს აღწევს სამურაბე ტაშტში, ჰოდა ამ დონეს მხოლოდ აქ ნაყიდი შაქრით მივაღწიე. მივხვდი, რომ ამ ამლაზიაში წონითაც ზუსტად იმდენს იყიდით, რამდენიც გინდათ, არავინ მოგატყუებთ.

— ისედაც სასიამოვნოა, რომ ამ პროდუქტების შეძენა მაღაზიაში შეიძლება, სადაც ყველაფერი მოწესრიგებულია, ყველაფერს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი. ნამდვილად აუტანელია ქუჩაში ხშირად პირდაპირ ასფალტზე დალაგებული სურსათით ვაჭრობა. — ამბობს მეორე ქალბატონი ესმა თავდგირიძე, — და განაგრძობს, — რაც მთავარია, მაღაზია ძალზე მოხერხებულ ადგილზეა, პირდაპირ მეტროდან ამოხვალ თუ არა, აქვე შეგიძლია შეიძინო ყველაფერი, ბაზრობაზე აღარ გჭირდება წასვლა.

ახლა შეგახსენებთ ზემოთ ნათქვამ სიტყვებს "რამდენადაც შესაძლებელია". იგი ფასებთან დაკავშირებით ვახსენეთ. აი რას გვეუბნებიან იურიდიულად ამ "ინდივიდუალურ საწარმოდ" წოდებული მაღაზიის მესვეურნი.

— გვინდოდა თუ არ გვინდოდა, რამე საარსებო სახსარი უნდა გაგვეჩინა. ქორეაჭრობა, რა თქმა უნდა, არც გვიფიქრია. ამიტომ ეს მაღაზია ამ პრინციპით გავხსენით, ყველაფერს გავყიდით რამდენადაც შეიძლება იმდენად იაფ ფასებში. ეს "რამდენადაც შეიძლება" განსაზღვრულია საბაზრო ღირებულებით. საქმე ის არის, რომ კაცი კომერციას რომ მოეკიდება, ის პირველ რიგში, საკუთარ მოგებაზე ფიქრობს, მაგრამ ჩვენ გვინდა მხოლოდ საკუთარი მოგება არ იყოს მთავარი. უმჯობესია მოგებაც იყოს, და მომხმარებელიც კმაყოფილი დავტოვოთ. ამიტომ ჩვენი ფასები საბაზრო ფასებს მხოლოდ ათი პროცენტით თუ აჭარბებს, სხვა მაღაზიებთან შედარებით კი, ოცი, ოცდახუთი პროცენტით დაბალია.

საუბარში, რა თქმა უნდა, პრობლემებიც ვახსენეთ. სამივე კომპანიონს ერთად გაეცინა. დიახ, პრობლემები, იცოცხლეთ იყოს, მაგრამ მათი თქმით, მთავარი მაინც ის არის, რომ წლების წინ არსებული საშიშროება მოიხსნა კრიმინოგენული სიტუაციის შეცვლასთან დაკავშირებით.

— სხვათაშორის, — გვეუბნება ერთერთი კომპანიონი, — როგორც კი გავხსენით მაღაზია, მაშინვე მივმართეთ რაიონის პოლიციის განყოფილებას, საგადასახადო ინსპექციას, ორივეგან კეთილად მიგვიღეს. ერთმა საიმედო დაცვის იმედი მოგვცა, მეორემ საგადასახადო საქმეებში გაგვარკვია, სპეციალური დავთრებიც კი მოგვიტანა...

პრობლემად რჩება ტრანსპორტირება, და, რაც მთავარია, მაღალი საბაზრო ფასები. მაგრამ ეს ჩვენზე არ არის დამოკიდებული... რაც უფრო დაიწევს საბაზრო ფასები, მით უფრო გაიაფდება საქონელი ჩვენს მაღაზიაშიც.

... დიახ, ცხოვრება ჩვენს თვალწინ ელვის უსწრაფესად იცვლება.

იცვლება როგორც გარეგნულად, ისე შინაარსით.

ჩვენს თვალწინ უამრავმა ადამიანმა შეიცვალა ცხოვრების წესი თუ პროფესია, რას ვიზამთ, გაჭირვება მაჩვენე და...

მთავარი კი ისაა, რომ ბიზნესში, ვაჭრობაში მოვიდა სრულიად ახალი ფენა, პრინციპულად განსხვავებული საბჭოური პერიოდის ვაჭრობის სისტემის მუშაკებისაგან. ისინი ხშირად ინტელიგენციის წარმომადგენლები არიან, განსხვავებულია მათი მსოფლმხედველობაც, ცხოვრების წესიც, ადამიანებთან დამოკიდებულებაც.

და სწორედ მათი საშუალებით იხვეწება, სასიამოვნო სახეს იღებს ყიდვა-გაყიდვის პროცესი, რადგანაც მათ იციან, მათ სჯერათ, რომ ეზოსავით მხოლოდ თავისკენ არ უნდა ითლიდნენ. იციან, რომ მოგებაც და მომხმარებლის მომსახურებაც ერთნაირად საჭირო და საპატიო საქმეა.

ღმერთმა ხელი მოუმართოთ!

ც. მეტრეველი

# საარბიტრაჟო სასამართლომ მოსარჩელეს უარი უთხრა

უზენაეს საარბიტრაჟო სასამართლოში დასრულდა იმ დავის განხილვა, რომელიც ჰოლანდიურმა ფირმამ დაიწყო ხაშურის მინისტარის ქარხნის შესყიდვასთან დაკავშირებით. ფირმამ, რომელიც ამ სააქციო საზოგადოების აქციონერთა საკონტროლო პაკეტის მფლობელია, 1993 წლის 1 აპრილიდან 1995 წლის ივლისამდე წარმოშობილი დავალიანების დაფარვა მოსთხოვა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს.

ეს თანხა 900 მილიონამდე დოლარს შეადგენდა.

მოსარჩელე აცხადებდა, რომ მისთვის უცნობი იყო ამ პერიოდში ქარხნის დავალიანების ოდენობა და მიაჩნდა, რომ გამყიდველს — ქონების მართვის სამინისტროს უნდა გაეფრთხილებინა იგი ვალების არსებობის თაობაზე. ამასთან იგი მოითხოვდა, რომ აქციათა ღირებულების გადაუხდელი ნაწილი ჩაეთვალათ გადახდილად, უკვე გადახდილი ღირებულების უკან დაბრუნებას ან შესაბამისი ღირებულების აქციათა გადაცემას.

ქარხნის გაყიდვა მოხდა სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 29 მაისის ბრძანებულების (№778) — "პრივატიზაციის პროცესის მოწესრიგებისა და დაჩქარების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ" — საფუძველზე. ამ შემთხვევაში საკითხს წყვეტს საწარმოს შრომითი კოლექტივი, რომელსაც ყველა პირობა ჰქონდა იმისთვის, რომ აქციათა პაკეტის შესყიდვაზე გადაწყვეტილების მიღებამდე საფუძვლიანად გასცნობოდა საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას.

ამის გათვალისწინებით საარბიტრაჟო სასამართლომ უარი უთხრა ჰოლანდიურ ფირმას დაეკმაყოფილებინა მისი სარჩელი ქონების მართვის სამინისტროს მიმართ სააქციონერო საზოგადოება "ხაშურის მინის ტარის" აქციათა პაკეტების ღირებულების შემცირების თაობაზე. საქართველოში ჰოლანდიური ფირმის წარმომადგენლები თვლიან, რომ საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება სწორი არ არის და აპირებენ ახალი სარჩელი შეიტანონ, ამჯერად უკვე ჰააგაში.



"მოგონებები წარსულზე"

ფოტო ხ. კასრაძისა

# რა იქნა "ქართული კვალი"?

მოსკოვში რამდენჯერმე მოხდა აფეთქება — მეტროში, ტროლეიბუსში. ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები ტერორისტულ აქტებს არ გამორიცხავენ. ქალაქის მერმა იური ლუჟკოვმა ეჭვი გამოთქვა აფეთქების "ჩეჩნურ" ვარიანტზე. ეს არ დაადასტურა რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ანატოლი კულიკოვმა, მაგრამ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე თქვა, რომ "ეს შეიძლება ჩეჩენი ბანდიტების ნამოქმედარი იყოს".

საბოლოო დასკვნა ძიების დამთავრების შემდეგ გაკეთდება. მაგრამ საუბარი უკვე არ არის ქართული კრიმინალური დაჯგუფების ურთიერთშეჯახებაზე, რაზედაც ალექსანდრე ლებედი ხმამაღლა ლაპარაკობდა საპარლამენტო არჩევნების წინ.

ახლა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე დუმს და, ცხადია, არც იმას ამბობს, თუ რა იქნა აფეთქების "ქართული კვალი".

# საჭიროა თუ არა ეროვნული იდეოლოგია?

"ეროვნული იდეოლოგია აუცილებელია თითოეული ქვეყნისათვის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე" — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა და ავტორიტეტულ სპეციალისტებს მოუწოდა აქტიური მონაწილეობა მიიღონ რუსეთის ეროვნული იდეოლოგიის შემუშავებაში.

თუ როგორი იქნება ეს იდეოლოგია ამაზე პრეზიდენტს არაფერი უთქვამს.

ქართული ეროვნული იდეოლოგია? რას წარმოადგენს იგი?

არსებობს კი? ძნელი საიდუმლოა მოვუცადოთ, იქნებ ღრმად გაგვცეს პასუხი.

# კულიკოვი თვლის, რომ საველე მეთაურების რაზმები აუცილებლად უნდა განადგურდეს

რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ანატოლი კულიკოვმა ჩეჩნეთში მორიგი მოგზაურობის შემდეგ თქვა, რომ ნაადრევად მიაჩნია რესპუბლიკიდან ფედერალური ჯარის ნაწილების გამოყვანა. ამის მიზეზად მან დაასახელა საველე მეთაურების მოქმედება, რომლებიც მინისტრის თქმით, გამოდიან გენერალური შტაბის უფროსის ასლან მასხადოვის გავლენიდან და დამოუკიდებლად ატარებენ საბრძოლო ოპერაციებს. ანატოლი კულიკოვს მიაჩნია, რომ სეპარატისტები ისინი გამოიყენებენ პარტიზანული ბრძოლის მეთოდებს და ამიტომ ამ პერიოდში მოსალოდნელი არ არის საბრძოლო მოქმედებათა ინტენსივობის საგრძნობი ზრდა.

ამასთან მინისტრმა განაცხადა, რომ დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს შეურიგებელ ოპოზიციას და განადგურდეს ყველა ფორმირება, რომელიც უარს იტყვის ბრძოლის შეწყვეტაზე და არ მიუჯდება მოლაპარაკების მაგიდას.

მისი აზრით, სულერთია — ტერორისტი იქნება, ისლამისტი, თუ დამნაშავეთა ჯგუფები — ყველას თავისი უნდა მიეზღოს მოსამსახურეების აზრით. კულიკოვის ეს განცხადება იმის მომასწავებელია, რომ თუ ჩეჩნეთში ვითარება სექტემბრამდე არ მოწესრიგდა, მაშინ მოსალოდნელია ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების დაწყება, რომლის შედეგების წინასწარ განსაზღვრა ფაქტიურად შეუძლებელია.

# კონვერტირებადი ობლიგაციები და პრივატიზაცია

გაზეთ "ფინანსისტის" მე-12 ნომრის (29 ივნისი-6 ივლისი) სტატიაში "უნდა დაჩქარდეს ფასიანი ქაღალდების გამოშვება" გამოთქმულია ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის მ.გიორგაძის აზრი იმის შესახებ, რომ ფინანსთა სამინისტრომ, ცენტრალურ ბანკთან და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან ერთად უნდა დააჩქაროს ფასიანი ქაღალდების გამოშვება, რაც წარმოადგენს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მოწესრიგების ბერკეტს. მთლიანად ვეთანხმებით რა ბატონ მ.გიორგაძის მოსაზრებას, ამასთან ერთად გვინდა აღვნიშნოთ, რომ დსთ-ს ქვეყნებიდან გარდა რუსეთისა, რომლის სახელმწიფო ობლიგაციები, უკვე 1993 წლიდან, დიდ ინტერესს (მაგალითად, ცნობილმა ამერიკულმა საინვესტიციო ბანკმა სოლომონ ბრაზერსმა 700 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ღირებულების, აშშ დოლარით დენომინირებული, რუსეთის სახელმწიფო ობლიგაცია გაიყიდა საზღვარგარეთ) და აჟიოტაჟს (როგორც 1996 წლის ივნისში გაირკვა ბევრი, ბრუნვაში მყოფი, სახელმწიფო ობლიგაცია იქნა მიპარული და ინვესტორებს დაახლოებით 1000 მილიონი ზარალი ელოდებათ) იწვევს უცხოელ ინვესტორებში. ყაზახეთიც აპირებს წელს განათავსოს ევროობლიგაციები, რომლებიც გამოიცემა ყაზახეთის გარეთ და გაიყიდება ეროვნული ქვეყნების ბირჟებზე, ევროპული ქვეყნების ვალუტაში) ABN ამრო ბანკის (ერთადერთი დასავლური ბანკი, რომელსაც გახსნილი აქვს ფილიალი ალმაატაში) დახმარებით.

ამ წერილით გვინდა მკითხველის ყურადღება მივაპყროთ ფასიანი ქაღალდების ერთ-ერთ სახეზე — კონვერტირებად ობლიგაციებზე და კერძოდ, მათ გამოყენებაზე პრივატიზაციის პროცესში.

კონვერტირებადი ობლიგაციის მფლობელს უფლება აქვს, სურვილის შემთხვევაში, გადაცვალოს ობლიგაცია ჩვეულებრივ ობლიგაციების განსაზღვრულ რაოდენობაში. კონვერტირებადი ობლიგაცია წარმოადგენს ობლიგაციისა და აქციის ჰიბრიდს, როგორც ობლიგაცია ის მფლობელს საშუალებას აძლევს მიიღოს შემოსავალი საპროცენტო (საკუპონო) განაკვეთის სახით, რომელიც, ჩვეულებრივ, ნაკლებია ვიდრე ჩვეულებრივ აქციაზე, რადგანაც კონვერტირებადი ობლიგაციის მფლობელს ემატება უფლება იყიდოს ობლიგაციის გამომშვები კომპანიის აქცია წინასწარ განსაზღვრულ ფასად. ამიტომაც, როცა საპროცენტო განაკვეთები მაღალია კომპანიები ცდილობენ ინვესტორების მიზიდვას კონვერტირებადი ობლიგაციებით.

გარდა ამისა, კონვერტირებადი ობლიგაცია კომპანიას აძლევს საშუალებას გამოუშვას აქციები არაპირდაპირი გზით. კერძოდ, თუ კომპანია ფიქრობს, რომ ბაზარზე მისი აქციების ფასი დაბალია და არ შეესაბამება რეალურ სურათს, მაშინ აქციების ახალი პარტიის გამოშვება მიზანშეწონილია შეჩერდეს გარკვეული პერიოდით. კონვერტირებადი ობლიგაციების გაყიდვა კი ემსახურება, სწორედ, ამ "შეჩერების" სტრატეგიას. რადგანაც ინვესტორების მიერ ობლიგაციების აქციებზე გადაცვლა მოხდება აქციების უფრო მაღალ ფასზე.

გადაცვლის კოეფიციენტი არის აქციების ის რაოდენობა, რომელშიც იცვლება თითოეული კონვერტირებადი ობლიგაცია. მაგალითად, კონვერტირებად ობლიგაციას 1000 აშშ დოლარის ნომინალური ღირებულებით შეიძლება ჰქონდეს 20-ის ტოლი გადაცვლის კოეფიციენტი, ე.ი. კონვერტირებადი ობლიგაციის მფლობელს შეუძლია გადაცვალოს 1 ობლიგაცია 20 აქციაში.

გადაცვლის ფასი არის ობლიგაციის ნომინალური ღირებულების განაყოფი გადაცვლის კოეფიციენტზე. ზემომოყვანილი მაგალითის შემთხვევაში გადაცვლის ფასი იქნება 1000/20-50 აშშ დოლარი.

კომპანია გადაცვლის ფასს აწესებს, ჩვეულებრივ, 15-30 პროცენტით მაღალს, ვიდრე ამ კომპანიის აქციების ფასია ბაზარზე კონვერტირებადი ობლიგაციების გამოშვებისას. ამრიგად, როცა ობლიგაციები გადაიცვლება აქციებში, გამოდის, რომ კომპანია თავისი აქციებისათვის 15-30 პროცენტით მეტ თანხას მიიღებს, ვიდრე იმ შემთხვევაში მას რომ თავიდანვე გამოეშვა აქციები.

გადაცვლის ღირებულება არის იმ აქციების მთლიანი ღირებულება, რომლებზეც იცვლება ერთი ობლიგაცია. მაგალითად, თუ კომპანიის ერთი აქციის ღირებულება 60 აშშ დოლარია ბაზარზე, მაშინ ჩვენს მიერ ზემომოყვანილი კონვერტირებადი ობლიგაციის გადაცვლის ღირებულება იქნება 20X60=1200, ანუ გადაცვლის ღირებულება არის გადაცვლის კოეფიციენტისა და ერთი აქციის ღირებულების ნამრავლი.

1996 წელს გამოშვებულმა კონვერტირებადი ობლიგაციების საერთო მოცულობამ უკვე 23 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია, რაც შარშანდელი მთელი წლის მაჩვენებლის ტოლია, მაგრამ ჯერ კიდევ ჩამოუვარდება 1994 წლის მაჩვენებელს – 34 მილიარდ აშშ დოლარს.

წელს კონვერტირებაში ობლიგაციები გამოუშვეს ისეთმა ცნობილმა კომპანიებმა, როგორებიცაა გერმანიის უდიდესი ინდუსტრიული კომპანია დაიმლერ-ბენცი, იაპონური სუმიტომო ბანკი, დიდი ბრიტანეთის აეროპორტების ჯგუფი და სხვ.

რამდენიმე დღის წინ კონვერტირებადი ობლიგაციების ბაზარმა ახალი განზომილება შეიძინა. პირველად, დიდი შვიდეულის ქვეყნების ერთ-ერთი წევრის – იტალიის მთავრობამ გადაწყვიტა გამოიყენოს კონვერტირებადი ობლიგაციები სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესში, კერძოდ სადაზღვევო კომპანიის – ინას 34, 38 პროცენტის გაყიდვაში.

1,3 მილიარდი აშშ დოლარის მოცულობის 5-წლიანი კონვერტირებადი ობლიგაციების 25 პროცენტი დენომირებული იქნება ლირებში, დანარჩენი კი აშშ დოლარებში. ობლიგაციების ეს მოცულობა გადაიცვლება ინას 21 პროცენტზე. რადგანაც ამ კონვერტირებადი ობლიგაციების მთელი მოცულობის შესყიდვის სურვილი უკვე გამოთქვა რამდენიმე ცნობილმა კომპანიამ (მაგალითად, ამერიკულმა საინვესტიციო ბანკმა გოლდმან საქსმა), ამიტომ იტალიის მთავრობა ფიქრობს კიდევ გამოუშვას კონვერტირებადი ობლიგაციები ინაში დარჩენილი თავისი წილის გასაყიდად.

ინას პრივატიზება მოხდა 1994 წელსს. პირველადი განთავსებისას ინას 1 აქციის ფასი 2400 ლირა იყო. განვლილი 2 წლის განმავლობაში ინას აქციებს წარმატება ვერ ხვდათ წილად. მაგალითად, 1996 წლის 19 ივნისს 1 აქციის ფასი – 2212 ლირა, აქციის თავდაპირველ ფასზეც კი ნაკლები იყო. ახალი აქციების გამოშვებით კიდევ უფრო რომ არ დაეცა აქციების ფასი, იტალიის მთავრობამ გადაწყვიტა კონვერტირებადი ობლიგაციების გამოშვება (მართლაც, ამ გადაწყვეტილებამ ინას აქციების ფასი გაზარდა, რადგანაც ბაზარი განთავისუფლდა ინას ახალი აქციების "ჩრდილისაგან").

ამ გადაწყვეტილებაში იტალიის მთავრობის რისკი არის ის, რომ შეიძლება არ მოხდეს ობლიგაციების გადაცვლა აქციებზე, ე.ი. კონვერტირებადი ობლიგაციების მფლობელებმა ამჯობინონ ობლიგაციების ვადის გასვლისას თავიანთი თანხის უკან დაბრუნება და მამასადამე არ გაიყიდოს მთავრობის წილი კომპანია "ინაში". ასეთ რომ მოხდეს იტალიის მთავრობა მაინც მოგებული დარჩება, რადგანაც მთავრობა კონვერტირებადი ობლიგაციების გამოშვებით ზოგავს 130 მილიონ აშშ დოლარს (5-წლიან კონვერტირებად ობლიგაციებზე საკუპონო განაკვეთი 2,5 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე ჩვეულებრივ 5 წლიან სამთავრობო ობლიგაციებზე).

უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს, აგრეთვე, სხვადასხვა გზა, რომლებიც კონვერტირებადი ობლიგაციების მფლობელებს აიძულებს გადაცვალონ ობლიგაციები აქციებზე. მაგალითად, თუ კომპანია გაზრდის დივიდენდებს ჩვეულებრივ აქციებზე და გარკვეული პერიოდისათვის მთელი დივიდენდების მოცულობა ჩვეულებრივ აქციაზე დიდად აღემატება კონვერტირებადი ობლიგაციის საკუპონო განაკვეთს. ხშირად, კონვერტირებადი ობლიგაციების გამოშვებასთან დაკავშირებულ შეთანხმებაში შეტანილია მუხლი გამოშვებული ობლიგაციების "გამოძახების" შესახებ. ეს მუხლი კომპანიას აძლევს გარკვეული კონტროლის საშუალებას ობლიგაციების აქციებზე გადაცვლის დროსთან დაკავშირებით. ობლიგაციის "გამოძახება", როცა გადაცვლის ღირებულება უფრო მაღალია, ვიდრე "გამოძახების" ფასი აიძულებს ობლიგაციის მფლობელს გადაცვალოს თავისი ობლიგაცია უფრო ძვირად ღირებულ აქციებში, ვიდრე მიიღოს "გამოძახების" ფასი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როცა ერთი აქციის ფასი გადააჭარბებს ერთი აქციის "გამოძახების" ფასს, მაშინ კომპანია აიძულებს ობლიგაციის მფლობელს გადაცვალოს ობლიგაცია აქციებში. მაგალითად, თუ კონვერტირებადი ობლიგაციის გადაცვლის კოეფიციენტი 40 და "გამოძახების" ფასია 1100, მაშინ "გამოძახების" ფასი ერთ აქციაზე იქნება 27,5(=1100/40). თუ ობლიგაციის "გამოძახება" მოხდება მაშინ, როცა აქციის ფასია 35, ობლიგაციის მფლობელი ამჯობინებს გადაცვალოს თავისი ობლიგაცია 40 აქციაზე, ვიდრე აიღოს 1100 დოლარი ("გამოძახების" ფასი), რადგანაც 40 აქციის ფასი 1400 დოლარია (=40X35).

ამრიგად ყოველივე ზემოთქმული გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ კონვერტირებადი ობლიგაციების გამოყენება პრივატიზაციის პროცესში სასურველია, თუ საპრივატიზაციო ქონების ღირებულება ბაზარზე, გარკვეულ გარემოებათა გამო, ნაკლებია ამ ქონების რეალურ ღირებულებაზე – რისი სურათიც გვაქვს დღეს საქართველოში და ალბათ გვექნება კიდევ რამდენიმე წლის განმავლობაში. ამიტომ, როცა ჩვენი მთავრობა დააპირებს ობლიგაციების გამოშვებას და ამავე დროს სურვილი ექნება რომელიმე დიდი კომპანიის პრივატიზაციისა, მაგრამ გარკვეულ მოსაზრებათა გამო ენდომება რამდენიმე წლის განმავლობაში ამ კომპანიაზე გავლენის შენარჩუნება, ჩვენი აზრით, სამივე ამოცანის ერთდროულად გადაწყვეტის ყველაზე მოხერხებული მექანიზმი არის კონვერტირებადი ობლიგაციები, რადგანაც:

1) საბოლოო ჯამში კომპანიის აქციები გაყიდული იქნება რეალობასთან უფრო მიახლოებული ფასით, ვიდრე დღეს ბაზარზე არსებული სიტუაცია იძლევა ამის საშუალებას.

2) საპროცენტო განაკვეთი კონვერტირებად ობლიგაციებზე, ჩვეულებრივ ნაკლებია ვიდრე ჩვეულებრივ ობლიგაციებზე.

3) სახელმწიფო, გარკვეული მოსაზრებების გამო, შეინარჩუნებს გავლენას (ვთქვათ 5 წლით – ობლიგაციების ვადის გასვლამდე) ამ კომპანიაზე.

**რევაზ ორმოცაძე**

# რუსეთში გამოჩნდა პრივატიზების ახალი პროგრამა

მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე განიხილეს ქონების სახელმწიფო კომიტეტის მიერ შემუშავებული პრივატიზების ახალი სახელმწიფო პროგრამა რუსეთის ფედერაციისათვის. როგორც ქონების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ალფრედ კოხმა განაცხადა წარმოდგენილ პროგრამას წინა პროგრამისაგან ძირითადად განასხვავებს შრომითი კოლექტივებისადმი შეღავათებზე, რაოდენობრივ მაჩვენებლებზე და შესაბამისი დავალებებით სავალდებულო პრივატიზებაზე უარის თქმა. ძირეულად არის შეცვლილი საწარმოთა შეფასების პრინციპი. ახლა ისინი შეფასდებიან არა განაცხადის მომენტისათვის, არამედ გარიგების მომენტისათვის არსებული ღირებულებით. საწარმოს საწყის ფასად აიღება მისი საბაზრო ფასი. ამის შემდეგ გადაწყვეტილება პრივატიზების შესახებ მიიღება მხოლოდ დარგობრივი სამინისტროებისა და უწყებების თანხმობით და არა მათი აზრის გათვალისწინებით, როგორც წინათ.

ამასთან ერთად ახალი პროგრამა ითვალისწინებს ფედერაციის სუბიექტების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა უფლებების გაფართოებას, სააქციონერო საზოგადოებების საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრას (ის უნდა შეადგენდეს არა ნაკლებ ათასმაგ მინიმალურ ხელფასს) და შექმნადი სააქციონერო საზოგადოებების აქციების შეძენის შესაძლებლობას ემიტენტების ფასიან ქაღალდებზე (ობლიგაციებზე) გადაცვლით, რომლებიც გაიყიდება ფედერალურ საკუთრებაში მიმაგრების პერიოდში და გადაიცვლება მათზე მიმაგრების ვადების გასვლის შემდეგ. სავარაუდოა რომ პროგრამა, სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, განსახილველად სახელმწფო სათათბიროს გადაეგზავნება.

სათათბიროს საკუთრების, პრივატიზებისა და მესაკუთრული საქმიანობის კომიტეტის ზოგი წევრი ამ პროგრამას საკმაოდ ცივად შეხვდა. მათ მიაჩნიათ, რომ ახლა მთავარი პროგრამებისა და კანონების შექმნა კი არა, მათი შესრულებაა. პირველი წელი არ არის, რაც პრივატიზება მოსკოვში უკანონოდ ტარდება – ასეთი მოულოდნელი და საკმაოდ უცნაური განცხადება გააკეთა და ამ საკითხზე გენერალურ პროკურატურას მიმართა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ. პრივატიზების შედეგების ანალიზის კომისიის წევრმა ევგენი იშჩენკომ. 1995 წლის თებერვლიდან მოსკოვში პრივატიზება მიმდინარეობს მოსკოვის მთავრობის განკარგულებების შესაბამისად. უძრავი ქონების ამა თუ იმ ობიექტის გაყიდვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პრეფექტურასთან არსებული მუდმივმოქმედი კომისია. რომელშიც შედის განცხადება არასაცხოვრებელი შენობების გამოსყიდვაზე. არადა, აღნიშნა ე.იშჩენკომ, ასეთ შემთხვევებში გაყიდვის შესახებ გადაწყვეტილებას უნდა იღებდეს ქონების მართვის კომიტეტი. ამის გარდა, ხაზი გაუსვა მან, რომ არასაცხოვრებელი შენობების პრივატიზებიდან მიღებული სახსრების განაწილება (50 პროცენტი – მოსკოვის ქონების კომიტეტს, 50 პროცენტი – ოკრუგების პრეფექტურების არასაბიუჯეტო ფონდებს) ეწინააღმდეგება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, რომელთა მიხედვით მიღებული ფული არ შეიძლება ჩაითვალოს არასაბიუჯეტოდ, რადგანაც ამოღებულია მუნიციპალური ქონების გაყიდვით. ე.იშჩენკოს სიტყვებით, უკანონო გარიგებების საერთო თანხამ შარშან დაახლოებით 600 მილიარდი რუბლი შეადგინა, წელს კი – დაახლოებით 300 მილიარდი რუბლი. როგორც ე.იშჩენკო ამბობს, დადებული გარიგებების დარღვევა უკვე შეუძლებელია, დღეს მთავარია – ვეცადოთ მათ დაკანონებას და მყიდველს მივცეთ საკუთრების "სრულყოფილი" უფლება.

**ელენა კრივიაკინა.**
**"ფინანსოვიე იზვესტია" № 73**

# „კოკა-კოლამ“ შემოსავლები შთამბეჭდავად გაზარდა

უალკოჰოლო სასმელების დიდმა ამერიკულმა მწარმოებელმა ჯგუფმა "კოკა-კოლამ" შემოსავლის 20-პროცენტიან ზრდას მიაღწია მიმდინარე წლის მეორე კვარტალში. და კვლავ "რინგზე გამოიწვია" მუდმივი კონკურენტი "პეპსიკო".

ამ პერიოდში "კოკა-კოლას" ფინანსური ანგარიში მოწმობს ბიზნესის წარმატებით განვითარებას. კომპანიის გასაღების მოცულობა 6 პროცენტით ამაღლდა და მან 5,2 მილიარდი დოლარი შეადგინა. წმინდა მოგების მაჩვენებლი 17 პროცენტით გაიზარდა და 1,05 მილიარდ დოლარს მიაღწია.

ჩრდილოამერიკულ ბაზარზე "კოკა-კოლას" გასაღების მოცულობა 7 პროცენტით გაიზარდა. კომპანიის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ახალი პლასტიკატის ჭურჭელი მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა საბაზრო ინტერესის გაზრდის თვალსაზრისით. 1995 წლის და 1996 წლის მეორე კვარტალი აღინიშნა ევროპის ბაზრებზე "კოკა-კოლას" გასაღების 125 პროცენტიანი ზრდით.

მეორე კვარტლის დასაწყისში "პეპსიკომ" გამოაქვეყნა ახალი სარეკლამო პროექტი, რომლის ძირითადი გამომხატველი დომინანტი გახდა ცისფერი ფერი. პროექტის შემქმნელები ვარაუდობდნენ, რომ კომპანია მასშტაბური "ცისფერით" შეძლებს საბაზრო წილი წაართვას "კოკა-კოლას", რომლის პროდუქცია ასოცირდება წითელ ელფერთან.

მაგრამ "კოკა-კოლას" ფინანსური შედეგები მოწმობს, რომ კონკურენტის მასირებული დაწოლა ვერ აისახა მისი პროდუქციის საბაზრო აქტივობაზე.

"კოკა-კოლას" ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ კომპანიას ყოველგვარი საფუძველი აქვს, შემდგომშიც ელოდოს ფინანსური მაჩვენებლების შესამჩნევ ზრდას. "კოკა-კოლა" დიდ იმედებს ამყარებს აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის ბაზრებზე.

"კოკა-კოლას" სასიამოვნო შედეგები მეორე კვარტალში, აქციების კურსის ზრდა და კარგი პერსპექტივები ენთუზიაზმს მატებს აქციონერებს და ინვესტორებს. ცნობილია, რომ "კოკა-კოლა" გახდება მომავალი წლის ოლიმპიური თამაშების სპონსორი და დიდ მოგებას ელოდება რეკლამისაგან. ამის უფლება მას დამსახურებული აქვს.

**რიჩარდ ტომკინზი**

"პრივატიზების მაცნე" საქმიანი ადამიანების გაზეთია.
იგი მესაკუთრეების ინტერესს იცავს.
დაგეხმარებათ იურიდიული კონსულტაციით!
განცხადებებს, რეკლამებს ვბეჭდავთ უფასოდ!
ისარგებლეთ გაზეთის მომსახურებით!

დაგვირეკეთ, გვეწვიეთ.
ტ. 98-35-49, 99-93-07
მისამართი: მ.ზანდუკელის ქ.№1



შენ სახლი პრივატიზებული გაქვს?

ნახატი ვ. კუციასი

## მაღაროელებმა პროტესტის ფორმად შიმშილობა აირჩიეს

ზღვისპირეთის მხარის მაღაროელები გაიფიცნენ და პროტესტის ფორმად შიმშილობა აირჩიეს. გაფიცულები მოითხოვენ, რომ მთავრობამ აუნაზღაუროს ნახევარი წლის შრომის საფასური. ექვსი თვის მანძილზე უხელფასოდ დარჩენილ მაღაროელებს, როგორც ჩანს, შიმშილობა ძალაუნებურად გაცილებით ადრე დაუწყიათ, ვიდრე ამას ოფიციალურად განაცხადებდნენ.

## იაპონიის მთავრობა ბოდიშს იხდის ნახევარი საუკუნის შემდეგ

მეორე მსოფლიო ომის დროს ქვეყნის ხელისუფლების ნებართვით ათასობით კორეელ, ტაივანელ ქალიშვილებს სამეძაო სახლებში ერეკებოდნენ იაპონელი ჯარისკაცების "დასაჯილდოებლად". ბევრმა მათგანმა ნამუსთან ერთად დაკარგა ჯანმრთელობა და მალე აღესრულა. ერთი ნაწილი დღესაც ცხოვრობს ტოკიოს კორეულ უბნებში ან გაბნეულია აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში.

რამდენიმე სკანდალური ფაქტის გახმაურების შემდეგ იაპონიის მთავრობა იძულებული გახდა საჯაროდ მოეხადა ბოდიში ომის დროს დაზარალებული და დღემდე ცოცხლად დარჩენილი ქალებისათვის. ეს უკანასკნელი არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან უმნიშვნელო ფულად დახმარებასაც მიიღებენ.

## აფხაზეთის პრობლემა მხოლოდ მშვიდობიანი გზით უნდა გადაწყდეს

ასე განაცხადა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა იგორ როდიონოვმა, რომელიც კარგად არის ცნობილი საქართველოში. მისი აზრით, მთავარია ურთიერთგაგების მიღწევა. კონფლიქტის მოგვარების გარანტად გენერალმა რუსეთის, საქართველოს და აფხაზეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა დაასახელა.

## რუსეთის ფლოტის იუბილეს იაპონელებიც დაესწრნენ

რუსეთის საზღვაო ფლოტის 300 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმს ვლადივოსტოკში დაესწრნენ იაპონელი სამხედროები. ეს იმდენად არის საყურადღებო, რამდენადაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რუსეთსა და იაპონიას შორის დღემდე არ არის დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება.

## საიუბილეო ოლიმპიური თამაშების სილუეტები

### "სადაურსა სად წაიყვან ბედო"

# ქართველები უცხოელთა დროშის ქვეშ

19 ივლისს ჯორჯიის შტატის ქალაქ ატლანტაში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ ქლინთონმა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ზაფხულის XXVI ოლიმპიადა. ეს მოხდა ახალაგებულ სტადიონზე, რომელიც 200 მილიონ დოლარზე მეტი დაჯდა და 80000 მაყურებელს იტევს.

ოლიმპიადა საიუბილეოა, ძველი საბერძნეთის ტრადიციული ასპარეზობის შემდეგ აღორძინებული სპორტული ზეიმი პირველად ზუსტად ასი წლის წინ 1896 წელს გაიმართა.

ოლიმპიადის ალამი აფრიალდა და უმღლავათო პაექრობებიც დაიწყო.

მიმდინარე ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანილია სპორტის შემდეგი სახეობები: ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი, კრივი, მძლეოსნობა, მშვილდოსნობა, ბადმინტონი, ბეისბოლი, პლაჟის ფრენბურთი, ჩოჩაოსნობა ბაიდარებითა და კანოებით, ველოსპორტი, ცხენოსნობა, ბალახის ჰოკეი, წყალში ხტომა, ფარიკაობა, თანამედროვე ხუთჭიდი, ბერძნულ-რომაული, თავისუფალი ჭიდაობა, აკადემიური ნიჩბოსნობა, ტყვიით სროლა, სოფტბოლი, ცურვა, სინქრონული ცურვა, მაგიდის ჩოგბურთი, ჩოგბურთი, წყალბურთი, ძალოსნობა, აფროსნობა, სატენდო სროლა.

ოლიმპიადაზე ყველაზე მრავალრიცხოვანი გუნდი ამერიკელებს ჰყავთ. მათ სპორტულ დელეგაციაში 1000-ზე მეტი სპორტსმენია.

გამარჯვებულებს გადაეცემათ 1933 მედალი, მათ შორის ოქროსი – 604.

ოლიმპიადის ორგანიზება შეერთებული შტატების მთავრობას 1.6 მილიარდი დოლარი დაუჯდება. სხვადასხვა არხებით ჯორჯიის შტატმა 5.1 მილიარდი დოლარი უნდა მიიღოს.

ოლიმპიური თამაშების გახსნაზე ფრიალებდა საქართველოს ეროვნული დროშა. ჩვენს დელეგაციაში 36 სპორტსმენია – ისინი სპორტის 15 სახეობაში ასპარეზობენ.

საქართველოს პრეზიდენტთან მიღების დროს ითქვა, რომ ქართველებს დაგეგმილი აქვთ 9 მედალი – თანაბრად ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო.

ქართველი ოლიმპიელებისათვის დაწესებული იყო საპრიზო ფონდი – 500 000 დოლარი. ოლიმპიადის ქართველი ჩემპიონი მიიღებდა 50 000 დოლარს, ვერცხლის მედალოსანი – 30 00, ხოლო მესამე ადგილის მფლობელი 20 000 დოლარს. საპრიზო ფონდის 20 პროცენტი განაწილდებოდა გამარჯვებული სპორტსმენების მწვრთნელთა შორის.

ასეთი მატერიალური წახალისება საქართველოს რესპუბლიკის სპორტსმენებს არასოდეს ჰქონიათ.

როგორია იყო სხვა ქვეყნების სპორტსმენების გამარჯვების საზღაური? ყველაზე დიდი ხელფასი ერჯი ისრაელელ ჩემპიონს, რომელმაც მიიღო 250 ათასი გერმანული მარკა (დაახლოებით 83 ათასი დოლარი ოფიციალური კურსით).

გულხატკენი არც მექსიკელები დარჩნილან. გამარჯვებულს სამშობლომ არგუნა 185 ათასი გერმანული მარკა. მესამე ადგილზეა ესპანეთი – აქ "ოქრო" 120 ათასი გერმანული მარკა ღირს შემდეგ მიდიან რუსეთი და ხლოვაკეთი – 75-75 ათასი მარკა, საფრანგეთი – 74, ავსტრალია – 60, ნიდერლანდები – 53, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა – 52.5, ბელორუსია – 50, იაპონია – 42, პოლონეთი – 35 პლიუს ავტომანქანა, ჩეხეთი – 35, მოლდავეთი – 25, აშშ და რუმინეთი – 22.5-22.5, შვეიცარია – 18, ავსტრია – 17, გერმანია და ჩინეთი – 15, სამხრეთ კორეა მხოლოდ 1244 მარკა, სამაგიეროდ სამხრეთ კორეელი ატლანტის ჩემპიონები მიიღებენ ყოველთვიურ ანაზღაურებას.

ვერცხლის მედლისათვის რუსებმა მიიღეს 30 ათასი გერმანული მარკა, ისრაელის წარმომადგენლებმა – 150, მექსიკელებმა – 112, ესპანელებმა – 60 მარკა, ატლანტის ბრინჯაო რუსეთში "ღირს" 15 ათასი მარკა, ისრაელში – 100 ათასი, მექსიკაში – 44, ესპანეთში – 36 ათასი მარკა.

"საქართველოს რესპუბლიკა" აქ შემთხვევით არ გვიხსენებია, რადგან "ქართველი სპორტსმენი" მოლად ზუსტად ვერ გამოხატავს საბმის არსს. რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური პირობების, მათ შორის წვრთნის, ასპარეზობებში მონაწილეობის საშუალებათა უქონლობის გამო ბევრმა ქართველმა სპორტსმენმა უცხოეთს მიაშურა. მრავალმა მათგანმა სხვა ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო და სპორტულ შეჯიბრებებშიც ახლა იმ ქვეყნის სახელით გამოდიან, სადაც ცხოვრობენ. როგორც სარწმუნო წყაროები იუწყებიან, ჩვენ დელეგაციის წევრების გარდა ატლანტაში კიდევ 12 ქართველმა იასპარეზა. რამაზ ფალიანი (კრივი), კახი კახიაშვილი (ძალოსნობა), და სხვებიც ვაჟენ რუსეთის, საბერძნების და სხვა სახელმწიფოების სპორტულ ღირსებას.

ბევრი მათგანი ოქროს მედლისთვის იბრძოდა და სულ იოლად შეიძლებოდა გამარჯვებული ქართველის საპატივცემულოდ უცხო ქვეყნის ჰიმნიც აჟღერებულიყო. ღმერთმა ხელი მოუმართოს ყველას, მაგრამ რა ისეთი იღბალი ლაებელა საქართველოს, რომ მისმა საუკეთესო შვილებმა ხშირად "სხვის ომებში" ამტკიცონ თავიანთი უნარი, ცოდნა.

მართლაც, სადაური სად მიჰყავს ბედს და როგორ ამშვენებინებს სწორედ მისი დამაქცევარის "საომარ რიგებს".

ვიყოთ იმედით, რომ ყველა ღირსეული ქართველი ერთი დროშის ქვეშ გაერთიანდება.

ახლა კი ერთი ხანმოკლე საუბრის შესახებ.საქართველოს დელეგაციაში ჟურნალისტთა ჯგუფიც არის. გამგზავრების წინ ვესაუბრეთ გაზეთ "ლელოს" მთავარ რედაქტორს ბატონ თენგიზ გაჩეჩილაძეს.

ბატონმა თენგიზმა თქვა, რომ მისი ვარაუდი ოდნავ განსხვავდება გავრცელებული აზრისაგან. იგი ატლანტაში ქართველთაგან 5-7 მედალს მოელის, ყველაზე მეტი იმედი ძიუდოისტების აქვს.

უცხოელ ქართველთაგან კახი კახიაშვილის გარდა, შეიძლება მედალს დაეუფლოს ქუთქეთის სახელით მოასპარეზე მშვილდოსანი ნახარიძე. მედლებისათვის იბრძოლებენ აგრეთვე ისრაელში მცხოვრები ქართველი მოჭიდავეები...

როგორც ცნობილია პროგნოზები არ გამართლდა.

მიხეილ კურიაზით. მძიმე წონის ძიუდოისტმა დავითხახალეიშვილმა აწონვაზე დაიგვიანა და შეღიბრებიდან მოხსნეს.

ჩვენთვის უკვე ცნობილია მიზეზიც. აწონვა ტურნირის ორგანიზატორებმა სხვა ადგილზე გადაიტანეს. ამის დაუმატა ტერორისტებით დამინებული უშიშროების თანამშრომლების მიერ გზის გადაკეტვა. მაგრამ ეს მაინც რა არის საპატიო მიზეზი, თანაც არა მხოლოდ სპორტსმენისათვის. 64-კაციან დელეგაციაში, რომელშიც მხოლოდ 36 სპორტსმენი შედიოდა, ყოველად გაუგებარია საქმის კურსში (ასაწონი ადგილის შეცვლა) არ ყოფილიყო დელეგაციის არც ერთი წევრი.

ეს გარეხელოვნობას უფრო გავს, ვიდრე ობიექტურ მიზეზს. გულარხეინობა კი ყოველთვის ცუდი მსახურია.

## ოლიმპიური მოძრაობა და ტერორიზმი

ქართველმა ოლიმპიელებმა ყველა პროგნოზი თავდაყირა დააყენეს. ახლა შეიძლება ვილაპარაკოთ შესაძლებლობების შეუფასებლობაზე, უიღბლობაზე, გაუმართლებლობაზე, მაგრამ ეს უკვე ვერაფერს შეცვლის. ახლა მთავარია სწორი დასკვნების გაკეთება და მომავალი ასპარეზობისათვის უფრო გულდანდობილი მომზადება. ეს ჩვენი საშინაო საზრუნავია. აი, ატლანტის ოლიმპიადასთან დაკავშირებული ზოგიერთი მომენტი კი აშკარად იწვევს მსოფლიოს შეშფოთებას და მრავალ თაყესატეხს უჩენს კეთილი ნების ადამიანებს, ვისთვისაც კი ძვირთასია ოლიმპიური იდეები, ხალხთა უშიშროება, ადამიანის უფლებათა, უფრო სწორად ადამიანის სიცოცხლის ხელშეუხებლობა.

საიუბილეო ოლიმპიადას ამ მხრივ ქართველებზე მეტად არ გაუმართლა. ჯერ იყო, სხვადასხვა ქვეყნის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა მთელ მსოფლიოს აუწყეს ოლიმპიადის უაღრესად ცუდი ორგანიზება, სპორტსმენთა და გულშემატკივართა მომსახურების დონე, შექმნილი ვითარება უამრავი უარყოფითი ეპითეტებით შეამკეს და, ეტყობა, სრულიად სამართლიანად ეჭვის ქვეშ დააყენეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილება საიუბილეო ასპარეზობის ატლანტაში. საერთოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩარატების მიმართულება.

ავ კაცს ამ ქვეყნად რა გამოლევს – ბევრი საბვედური გადაჭარბებული, სიძნელეების ხელოვნურად გაზვიადებულია, მაგრამ ასეა თუ ისე მაინც ოპტიმისტურად განწყობილი ამერიკელების იმედს ცივი წყალი გადაესხა – 26 ივლისს ატლანტის ცენტრალურ პარკში, სადაც თითქმის მთელი ღამე გრძელდება გასართობი ღონისძიებები, შუაღამისას აფეთქებამ იგრიალა. აფეთქებას მსხვერპლი მოჰქვა. მათ შორის ჟურნალისტიც დაიღუპა, დაიჭრა ასობით ადანაშაული ადამიანი.

აფეთქების შემდეგ პოლიციელებმა გაიხსენეს, რომ ესტრადასთან შეამჩნიეს ადამიანი, რომელსაც ხელში რაღაც საეჭვო ფუთა ეჭირა.: მაგრამ ყურადღება არ მიაქციეს. ეს უყურადღებობა კი სხვებს ძვირად დაუჯდათ.

როგორც ჩანს, დამშვიდების დრო წავიდა. მთავარი ატლანტაში მომხდარი ტერორისტული აქტი არ არის.

ეს ახალი როდია, მსგავს შემთხვევებს ადრეც ჰქონდათ ადგილი. სულ რაღაც 24 წლის უკან – 1972 წელს ოლიმპიადა გერმანიის ქალაქ მიუნხენში ტარდებოდა. შენობას, რომელ[...] ისრაელის სპორტული დელეგაცია [...] ოფრობდა, თავს დაესხნენ ტერორ[...] ბი, სპორტსმენები მძევლად ა[...] და 200 არაბი პატიმრის განთავ[...] ფლება მოითხოვეს. ხელისუფლ[...] და ტერორისტებს შორის მოლაპარა[...] ბა მთელ დღეს გაგრძელდა. [...] იგი შეთანხმებით დამთავრდა. [...] ყველაფერი წესრიგში იყო, მაგრ[...] ბოლოს მაინც ჯაჭვის რომელიღაც [...] ტი რგოლი გახყდა – აეროპორ[...] ტერორისტებსა და პოლიციას შორ[...] სროლა ატყდა. დაიღუპა 5 ტერორის[...] მაგრამ ორთაბრძოლამ 9 მძევლის [...] ცოცხლეც შეიწირა. მეორე დღეს [...] რაელის დელეგაციამ მიუნხენი და[...] ვა. ტრაგედია თითქმის დავიწყებ[...] მიეცა და აი, ატლანტა. ისევ ტერ[...] ისევ მსხვერპლი. მთელი მსოფ[...] ოსთვის ახალ შავ ჭირად მოვლენი[...] ტერორიზმი ოლიმპიურ ასპარეზობა[...] მისწვდა და ნებისმიერი ადამია[...] დააფიქრა. ამერიკის შეერთებულ[...] შტატების პრეზიდენტმა ბილ ქლინთონ[...] მა განაცხადა, რომ ტერორისტი უ[...] მოინახოს და მკაცრად დაისაჯოს.

ჟურნალისტის შეკითხვაზე რუ[...] თის პრემიერ მინისტრმა ვიქტორ ჩე[...] ნომირდინმა ვქვა, რომ "ტერორი[...] საშიშ მოვლენად იქცა და, ჩვენი აზრ[...] მის წინააღმდეგ მთელი მსოფლიო [...] დაირაზმოს". აფეთქებები მართლ[...] საშიშ მოვლენად იქცა. გამონაკლ[...] არც საქართველოა. ტერორიზმი [...] ლასთვის სასიცოცხლო საქმე გა[...] ადამიანს სიცოცხლეს ღმერთი აძლ[...] და მისი წართმევის უფლება არა[...] აქვს. რაც მთავარია, ადამიანს გარ[...] გამოსვლის და თავისუფლად გად[...] ილების შიში არ უნდა ჰქონდეს.

ტერორი არ გამოდგება [...] ლის დასადგენად. შური[...] ყოველთვის საპასუხო რეაქციას იწვ[...] და ატომურ იარაღზე საშიში – [...] ტროლს არ ექვემდებარება. მას ძა[...] სპეცსამსახურებიც ვერ გაუმკლავ[...] ბიან. ტერორიზმს ყველა ერთად [...] შეუვალობით უნდა ებრძოლო [...]



# გულარხეინობის კიდევ ერთი მაგალითი

მალტაში ხისუბულად მოგებული მატჩის (3:1) შემდეგ ზესტაფონის "მარგვეტის" ფეხბურთელებმა შინ წააგეს (0:3) და გამოეთიშნენ უეფას თასის გათამაშებას.

ამაში, ცხადია, გარკვეული როლი ითამაშა საერთაშორისო მატჩებში მონაწილეობის გამოუცდელობამ, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ზესტაფონელებმა ჯეროვნად არ შეაფასეს მოწინააღმდეგის ძალა, ნაადრევად დაიმშვიდეს თავი და ასპარეზობის მართლა თამაშ-თამაშით მიგება გადაწყვიტეს. სამაგიეროდ მალტელებმა გეიჩვენეს საქმისადმი პროფესიული დამოკიდებულების კარგი ნიმუში, ბოლომდე იბრძოლეს და შედეგიც სასურველი მიიღეს.

ვინც სიცხს, მოსავალსაც ის იმკის.

# რომანცევს ამბიციური სპორტსმენები მოსწონს

"მე მომწონს ამბიციური სპორტსმენები, რომლებმაც იციან თავისი ფასი და უფროხილდებიან საკუთარ ღირსებას. სწორედ ასეთი ფეხბურთელების ნაკლებობამ ნაადრევად გამოგვისტუმრა ლონდონიდან", – თქვა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე რუსეთის ნაკრების ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ რომანცევმა და დაასახელა კირიაკოვი, შალიმოვი, რომლებიც "ეროვნულ ნაკრებს კი არა, რიგით კლუბსაც არ უნდა გააკარო", რადგანაც ლონდონში თურმე ჯიბის გასასქელებლად ჩასულან და არა თამაშების მოსაგებად.

ღირსეული კოლექტივის მაგალითად მან დაასახელა გერმანიის ნაკრები, მაგრამ არ თქვა, რამდენად მეტს იღებენ გამარჯვებისათვის გერმანელები, ვიდრე რუსი სპორტსმენები.


# რეკლამა ★ ★ განცხადება

ფირმა „ბაიარქსი" კედლების შიგნიდან და გარედან მოსაპირკეთებლად გთავაზობთ უმაღლესი ხარისხის დეკორატიულ მასალას. იგი დამზადებულია გრანიტის და მარმარილოს ნაფხვენებისაგან, სინთეტიკური ფისების და სხვა შემაერთებელი კომპონენტებისაგან. მასალა წყალგაუმტარია, კარგად უძლებს ტუტეებს და სხვადასხვაგვარ ატმოსფერულ ზემოქმედებას.

„ბაიარქსს" შეუძლია მოაპირკეთოს ადმინისტრაციული ინტერიერები, ბანკები, სპორტული კომპლექსები, მეტროპოლიტენი, სასურსათო, ქიმიური დანიშნულების შენობები, რესტორნები და საცხოვრებელი სახლები.

„ბაიარქსის" სავაჭრო წარმომადგენლის ტელეფონებია: 36-24-72; 37-35-62.

"რელიგია და კულტურა"
სახელმძღვანელო მე-3, მე-4 და მე-5 კლასებისათვის

ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ჯერ დიდი დროა. მოსწავლეები, ვისაც როგორ შეუძლია, ზაფხულის არდადეგებით ტკბებიან. გამომცემლობა "დედაენამ" კი ახალი სასწავლო წლისათვის უკვე მოამზადა მათი სახელმძღვანელოები, რომელთა ავტორია რევაზ თვარაძე, რედაქტორი – გია მურღულია. სახელმძღვანელო "რელიგია და კულტურა" მე-3, მე-4 და მე-5 კლასებისათვის უკვე დაბეჭდილია.

გაიყიდება გამომცემლობა "დედაენაში"
შემდეგ მისამართზე:
მიხეილ ზანდუკელის ქ. № 1
(მეტროს სადგურ "რუსთაველის" თავზე).

ტელ: 99-93-07; 98-35-49.

ვისაც სურს საბურთალ[...] ვეძისში ჰქონდეს პატარა სა[...] სახლი, სადაც შეუძლია ორი სარ[...] ლი დააკავშიროს შიდა კიბით, [...] ლს დააშენოს მანსარდი, გამ[...] ენოს ფართო ვერანდა, მის [...] გააკეთოს ბუხრიანი ოთახი, სა[...] თარი ხელით მოიყვანოს მწვა[...] ლი, გააშენოს ყვავილნარი და [...] ში ჰყავდეს ერთი ერთგული მ[...] ბელი დარეკოს ტელეფონზე [...] 45 (დღის პირველ ნახევარში) [...] 29-83 (საღამოს).



გაზეთის დამფუძნებლები არიან [...] საქართველოს რესპუბლიკის [...] ხელმწიფო ქონების მართვის სამ[...] ნისტრო და რედაქციის შემოქმედებ[...] კოლექტივი.

„პრივატიზების მაცნე" რეგისტრირებ[...] ლია საქართველოს რესპუბლიკ[...] იუსტიციის სამინისტროში. სარეგისტ[...] ციო ნომერია 0893

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფ[...] პრესის პრინციპით.

რედაქციაში დასაბეჭდად წარმოდგენ[...] წერილებში დასახელებული ფაქტებ[...] ციფრების, სახელებისა და გვარებ[...] სიზუსტეს უზრუნველყოფენ ავტორ[...] დედნებში დაშვებულ შეცდომებზ[...] რედაქცია პასუხს არ აგებს.

რედაქციაში შემოსული წერილებ[...] რეცენზირდება. დედნები ავტორებს [...] უბრუნდებათ.

ავტორებს გთხოვთ ნუ შემოგვთავაზ[...] თაბახის 7 გვერდზე გრძელ წერილ[...] რედაქცია არ იღებს ხელნაწერებ[...]

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2.08.96 წ.



პრივატიზების მაცნე
ინდექსი 66630

რედაქციის მისამართი: მ. ზანდუკელის ქ. №1
ტელ. 99-93-07; 29-35-90.

გაზეთი დაიბეჭდა ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა "სამშობლოში" მ. კოსტავას ქ. № 14.

სარედაქციო კოლეგია